

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

*დავით გივინეიშვილი*

**სომატოფორმული აუდილობები  
ნევროლოგიურ კლინიკაში**

14.00.13 – ნერვული სნეულებანი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეზიუმე

თბილისი  
2006

ნაშრომი შესრულებულია აკადემიკოს პ.სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტში.


- სამეცნიერო კონსულტანტი – **რომან შაქარიშვილი,**  
მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი
- ოფიციალური ოპონენტები: – **ნანა გელაძე,**  
მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი (14.00.13)
- **დავით ზურაბაშვილი,**  
მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, (14.00.18)
- **ვიტალი კაშია,**  
მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, (14.00.18)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის \_\_\_\_\_ საათზე,  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სადისერტაციო  
საბჭოს M 14.03 N 9 სხდომაზე (0177, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 33).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის \_\_\_\_\_

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

 ნ. კაკაურიძე

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ МЕДИЦИНСКИЙ  
УНИВЕРСИТЕТ

*на правах рукописи*

**Давид Гигинейшвили**

**СОМАТОФОРМНЫЕ РАССТРОЙСТВА  
В НЕВРОЛОГИЧЕСКОЙ КЛИНИКЕ**

14.00.13 – Нервные болезни

**АВТОРЕФЕРАТ**

диссертации на соискание  
ученой степени доктора медицинских наук

Тбилиси  
2006

Работа выполнена в Институте неврологии и нейрохирургии  
им. П.М.Сараджишвили.

Научный консультант

- ***Роман Шакаришвили,***  
доктор медицинских наук,  
профессор

Официальные оппоненты:

- ***Нана Геладзе,***  
доктор медицинских наук,  
профессор (14.00.13)
- ***Давид Зурабашвили,***  
доктор медицинских наук,  
(14.00.18)
- ***Виталий Кашия,***  
доктор медицинских наук,  
(14.00.18)

Защита диссертации состоится \_\_\_\_\_ 2006 г. в \_\_\_\_ часов на  
заседании диссертационного совета М 14.03 N 9 Тбилисского государственного  
медицинского университета (0177, Тбилиси, пр. Важа-Пшавела, 33).

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Тбилисского государственного  
медицинского университета (0160, Тбилиси, пр. Важа-Пшавела, 29).

Автореферат разослан \_\_\_\_\_ 2006 г.

Ученый секретарь диссертационного совета,  
доктор медицинских наук

 Н. Какауридзе

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

### პრობლემის აქტუალობა

ახლახან შემოსულ სომატოფორმული აშლილობების კონცეფციას (1980 წლიდან ჩრდილოეთ ამერიკაში DSM-III-ს მეშვეობით და 1992 წლიდან დანარჩენ სამყაროში ICD-10-ში განხორციელებული ცვლილებებით) საფუძვლად უდევს წარმოდგენა ისტერიაზე. მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება მრავლობითი, განმეორებადი სომატური ჩივილებით, რაც გადმოიცემა მძლავრი განცდით და რომელიც ვერ აიხსნება ცნობილი კლინიკური დაავადებებით, ექიმთა ყურადღების ფოკუსში არის უკვე დრმა ანტიკური პერიოდიდან. ეგვიპტურ პაპირუსებში აღწერილი და შემდგომ ძველ საბერძნეთში ისტერიის სახელად ცნობილი ეს სამედიცინო მდგომარეობა თავდაპირველად მხოლოდ ქალთა სქესის წარმომადგენლებს უკავშირდებოდა. იმ დროიდან არ კლებულობს ინტერესი ისტერიის ფენომენის მიმართ. განსაკუთრებულად იგი გამძაფრდა XIX საუკუნის შემდეგ, როდესაც ფრანგი ექიმების მიერ (ბრიკე, შარკო) დეტალური კლინიკური ანალიზის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომ ისტერიულ სიმპტომებს თავის ტვინის დისფუნქცია უდევს საფუძვლად. მოგვიანებით ფროიდმა ჩამოაყალიბა ისტერიული ნევროზის ფსიქოდინამიური წარმოშობის თეორია. ექიმების ფართო ინტერესი ამ მოვლენის მიმართ განპირობებულია ისტერიის მრავალსახიანი მიმიკრიის უნარით, როდესაც იგი შეიძლება შეინიღბოს ნებისმიერი ორგანული დაავადების ფორმით და მაშასადამე წარდგეს მედიცინის ნებისმიერ დისციპლინაში. ამით არის განპირობებული პარალელური კლასიფიკაციების არსებობა, რომელიც იხმარება თერაპიული დარგების სპეციალისტებში (ფუნქციური სომატური სინდრომები) და ფსიქიატრიაში (სომატოფორმული აშლილობები). ფსიქიატრიისა და მედიცინის დანარჩენ დისციპლინებს შორის აღმოჩენის შედეგად სომატოფორმული აშლილობების შესაბამისად როგორც დიაგნოსტიკური, ასევე მკურნალობის საკითხები დღემდე არ არის სრულყოფილად შესწავლილი (Frances & Vance 1999).

სხვადასხვა მონაცემების თანახმად, ფსიქოგენური ხასიათის სიმპტომების სიხშირე ნევროლოგიურ ქსელში მაღალია სხვა თერაპიული პროფილის სამსახურებში გამოვლენილ სიხშირეებთან შედარებით (Carson et al., 2000; Reid et al., 2001). ნევროლოგიურ კლინიკაში იგი წარმოადგენს გამოტანილი დიაგნოზების 1%-ს (Marsden, 1986), ეპილეფსიურ ცენტრებში კი – შემოსული პაციენტების 12.8-20%-ს (Gates et al., 1985; Smith et al., 1999) და ელექტროენცეფალოგრაფიული (ემზ) მონიტორინგჩატარებულ პაციენტთა 15-34%-ს (Benbadis et al., 2001, 2004; Martin et al., 2003). მათი მსგავსება ორგანულ ნევროლოგიურ სიმპტომებთან იმდენად მაღალია, რომ ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევების შემთხვევაში საბოლოო დიაგნოზის გამოტანა სხვადასხვა წყაროების მიხედვით ხდება ხოლმე პაროქსიზმების გამოვლენიდან ხუთი წლის შემდეგ (De Timary et al., 2002; Reuber et al., 2002). დიაგნოზის გადავადება კი საფუძველია რო-

გორც ჯანმრთელობის გაუარესებისა, ასევე სოციო-ეკონომიური მდგომარეობის დამძიმებისა. 'აუსნელი' (ანუ ფუნქციური) სომატური სიმპტომები გვხვდება არა მხოლოდ ნევროლოგიურ, არამედ სხვა არაფსიქიატრიულ ქსელშიც და უპირატესად ჯანდაცვის პირველად რგოლში. ასეთი ჩივილების მქონე პაციენტთა რაოდენობა აღწევს მეოთხედიდან ნახევრამდე იმ პაციენტთა რიცხვიდან, რომელიც მიმართავს ზოგადი პროფილის ექიმს (Kroenke, 2003; Khan et al., 2003; Rosendal et al., 2005; Toft et al., 2005). პრობლემას გააჩნია არა მხოლოდ დიაგნოსტიკური მნიშვნელობა. მიიმა სოციალური და ეკონომიური ტვირთი, რომელიც თან ახლავს ფსიქოგენური (ფსევდონევროლოგიური) ხასიათის აშლილობებს. პაციენტები გამოირჩევიან მყარი შრომისუუნარობით (Akagi & House, 2001) და სამედიცინო ხარჯები 2.2 ჯერ აჭარბებს სამედიცინო ქსელში ერთ პაციენტზე გამოანგარიშებულ ხარჯების საშუალო მაჩვენებელს (Hiller et al., 2003; Barsky et al., 2005).

სამედიცინო ლიტერატურაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი ფსიქოგენური არაეპილეფსიური გულყრების სახეობებზე, რასაც ხელს უწყობს აღნიშნულ თემაზე პუბლიკაციების სიმცირეც (Betts & Boden 1991; Jędrzejczak et al., 1999; Gröppel et al., 2000; Abubakr et al., 2003). ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისით, შეტევების კლინიკური სემიოლოგიის საფუძველზე, შემთხვევათა 70-80%-ში შეიძლება განასხვავო ფსიქოგენური არაეპილეფსიური ეპილეფსიურ პაროქსიზმებისაგან (King et al., 1982; Lesser 1985). ამრიგად, პაროქსიზმის სემიოლოგია შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან დიაგნოსტიკურ ფაქტორს შეტევის ბუნების გამოსავლენად. უცნობია ასევე, რამდენად კავშირშია შეტევის კლინიკური გამოვლენა ფსიქიკური დარღვევის სახეობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელ ამოცანად გვესახება პაროქსიზმების კლინიკური სემიოლოგიის დეტალური ანალიზი და მისი კორელაციის დადგენა მენტალური დარღვევების ცალკეულ აშლილობასთან.

ფუნქციური სომატური სიმპტომების მთავარ დიაგნოსტიკურ აღგორითმს წარმოადგენს სომატური დაავადების გამორიცხვა (ე.წ. უარყოფის დიაგნოზი – Porter 1993, Francis & Baker 1999; Reuber et al., 2005). პოზიტიური ტესტების მიმართ არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება და თითოეული ავტორი შერჩევით მოიხსენიებს მათ. ამიტომაც მნიშვნელოვნად მივიჩნით გამოგვევლინა და გამოგვეცადა ყველა პოზიტიური ნევროლოგიური დიაგნოსტიკური ტესტები, რომლებიც დაეხმარება მსგავსი კლინიკური სურათის მქონე, მაგრამ სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორებით (ორგანული ან ფსიქოლოგიური) გამოწვეული სიმპტომების დიფერენცირების პროცესს.

ამჟამად სომატოფორმული აშლილობების თერაპიული არსენალი მოიცავს როგორც ფარმაკოლოგიურ საშუალებებს, ასევე ფსიქოთერაპიულ და ფიზიოთერაპიულ მეთოდებს. თუმცა სამედიცინო ლიტერატურაში ნაკლებად ვხვდებით ცალკეული ფსიქოტროპული პრეპარატებისა და ფსიქოთერაპიული მეთოდების გამოყენებით ჩატარებულ რანდომიზირებულ კონტროლთან შეჯერებულ კლინიკური კვლევების შედეგებს და არსებული თვალსაზრისი ამ არსენალის გამოყენების მიმართ არ არის

ერთგვაროვანი (Fallon 2004; LaFrance et al., 2006). ბოლო წლებში გამოქვეყნდა პილოტური კვლევების შედეგები, რომლებმაც სხვადასხვა თერაპიული მიდგომების ეფექტურობა გამოავლინა იპოქონდრიის დროს (სელექტიური სეროტონინის უკუმიტაცების ჯგუფის მედიკამენტების და კონგიტიურ-ქცევითი თერაპიის; Looper & Kirmayer 2002; Kjernisted et al., 2002; Lidbeck 2003; Fallon et al., 2003; Barsky & Ahern 2004). ამრიგად აქტუალურად გვესახება მკურნალობის კომბინირებული ფსიქოფარმაკოლოგიური და ფსიქოთერაპიული მიდგომების ეფექტურობის განსაზღვრა ამ პაციენტთა კონტინგენტში.

მენტალური დარღვევების კლასიფიკაციებში ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომები შეტანილია რამდენიმე მენტალური აშლილობის განმსაზღვრელ კრიტერიუმების ნუსხაში. მათი უმეტესობა თავს იყრის სომატოფორმული აშლილობების ჯგუფში, კერძოდ, სომატიზირებულ და კონვერსიულ აშლილობებში, კონვერსიული ტიპის ისტერიული ნევროზის ამჟამინდელ მემკვიდრეებში. მაგრამ არ წყდება დებატები ასეთი დაჯგუფების მიზანშეწონილობაზე ფსიქიატრიულ წრეებში (Mayou et al., 2005; Janca 2005). ამ თვალსაზრისით, სომატოფორმული აშლილობათა დაჯგუფებაში შემაჯავლი სპეციფიკური აშლილობების ვალიდობა, კერძოდ კი იმათი, რომლებიც ხასიათდებიან ფუნქციური ნევროლოგიური სიმპტომებით, საჭიროებს შესწავლას უკვე ნევროლოგების პოზიციიდან.

სომატოფორმული აშლილობები წარმოადგენენ უნიკალურ მაგალითს, როდესაც ამ დარღვევების ტერმინოლოგიურ და კლასიფიკაციურ საკითხებს განიხილავენ ფსიქიატრები (კერძოდ, მენტალური დარღვევების უახლეს ტაქსონომიებში), ხოლო კლინიკური და თერაპიული თავალსაზრისით, ისინი უკეთაა შესწავლილი ზოგადთერაპიულ დისციპლინებში. ფსიქოგენური წარმოშობის დარღვევებს შორის არაეპიდემიური გულყრები ყველაზე ფართოდ არის განხილული სამედიცინო ლიტერატურაში (Gram et al., 1993; Rowan & Gates 1993; 2000). ნევროლოგიურ კლინიკებში (და მათთან არსებულ ეპიდემიურ ცენტრებში) აკუმულირებული მასალა, ჩვენი აზრით, უდავოდ წაადგება ფუნქციური სინდრომების, როგორც კლინიკური, ასევე კლასიფიკაციური საკითხების გადაჭრაში. აქედან გამომდინარე ნევროლოგების (და კერძოდ, ეპიდემიოლოგების) მონაწილეობა სომატოფორმული აშლილობის მომავალი კლასიფიკაციური რევიზიის განხილვაში აუცილებელ ამოცანად უნდა იყოს მიჩნეული.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის *მიზანი* იყო სომატოფორმული აშლილობების სისტემური ანალიზის ჩატარება და პოზიტიური კლინიკო-დიაგნოსტიკური მაჩვენებლების დადგენა, რომლებიც განასხვავებენ ამ აშლილობებს ნევროლოგიური სიმპტომების მქონე ორგანული ხასიათის მრავალფეროვანი დარღვევებისაგან.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი *ამოცანები*:

1. სომატოფორმული აშლილობების შემთხვევების განსაზღვრა ნევრო-

- ლოგიურ კლინიკაში ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა შორის და მათი სინდრომული ანალიზი.
2. ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომების დიაგნოსტიკური ტესტების გამოვლენა და შეფასება.
  3. ფსიქოგენური არაეპილეფსიური გულყრების *პოზიტიური დიაგნოსტიკური ალგორითმის* შემუშავება და მისი ეფექტურობის განსაზღვრა მულტიდისციპლინარული (ნევროლოგიური, ნეიროფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და ელექტროფიზიოლოგიური) მიდგომების პირობებში.
  4. ფსიქოგენური არაეპილეფსიური პაროქსიზმების კლასიფიცირება კლინიკური სურათის საფუძველზე და გამოვლენილი სახეობების ასახულობის განსაზღვრა მენტალური დარღვევების თანამედროვე ტაქსონომიებში (DSM, ICD).
  5. სომატოფორმული აშლილობების მენეჯმენტის სქემების დადგენა, როგორც ტრადიციული ფსიქოფარმაკოლოგიური, ასევე ფსიქოთერაპიული მიდგომების გათვალისწინებით.
  6. თანამედროვე კლასიფიკატორულ სისტემებში (ICD-10, DSM-IV) ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომების მქონე სომატოფორმული კატეგორიების შედარება და მათი ვალიდობის განსაზღვრა ჩვენი კლინიკური მასალის საფუძველზე.

## მეცნიერული სიახლე

დასავლურ მედიცინაში არსებული ფსიქოგენური სიმპტომების დიაგნოსტიკური მეთოდოლოგია არ არის უნიფიცირებული. ისინი მეტ წილად განიხილება იზოლირებულად, რაც ცალკეული მეცნიერის მიერ გამოვლენილი (ან ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში ვიწროდარგოვანი ევოლუციით მიღებული) მეთოდოლოგიის ისტორიულ პროცესს ასახავს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია *ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევების (შაშ) დიაგნოსტიკური ალგორითმი*, რომელიც ჩვეულებრივ ეფუძნება ეპილეფსიური გულყრების დიაგნოსტიკურ ეტაპებს, თუმცა წარმოადგენს გამორიცხვის დიაგნოზს. ჩვენ შევიმუშავეთ პოზიტიური დიაგნოსტიკური ალგორითმი, გამომდინარე რა იმ მოსაზრებიდან, რომ გარკვეული ფსიქიკური დარღვევები კლინიკურად ვლინდება ეპილეფსიური გულყრების მსგავს პაროქსიზმებით. მათი დიაგნოსტიკა იქნება უფრო სრულყოფილი, თუ ჩვენ არა მხოლოდ ვუჩვენებთ, რომ პაციენტს არა აქვს ეპილეფსია (და მაშასადამე შეტევები არაეპილეფსიური ბუნების არის), არამედ გამოვაკლავთ ისეთ ფსიქოლოგიურ დისტრესს, რომელიც შაშ-ით შენიღბულ მენტალური აშლილობის მიზეზია. მსგავსი მიდგომა შეიძლება განზოგადდეს ყველა სხვა ფსიქოგენური სიმპტომების შემთხვევაშიც. ამისათვის შემუშავდა *მენტალური სტატუსის შემფასებელი სპეციალური შკალა (მსშშ)*, რომელიც ყველა იმ პაციენტზე გამოვიყენეთ, რომელიც გაურკვეველი ან რეზისტენტული ეპილეფსიური შეტევების დიაგნოზით იქნა მოთავსებული აკად. პ.სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტში (შემდგომ მოხსენიებული, როგორც სსნნი). ცალკეული



აშლილობის დიაგნოსტიკა გააადვილებს კონვერსიული სიმპტომის შემდგომ მკურნალობას და განაპირობებს უკეთეს გამოსავალს, რომელიც ნეგატიური დიაგნოსტიკის პირობებში შემოიფარგლებოდა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ პაციენტის გაგზავნით ფსიქიატრიულ სამსახურში, სადაც მას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამისათვის დეტალურად იყო გამოვლენილი და განხილული ის ფსიქიკური დარღვევები, რომელთა კლინიკურ სურათში მოსალოდნელია ფაშ. გაანალიზებულია არაეპიდემიური შეტევების ფსიქოლოგიური *ეტიოლოგიური მოდელები* და ფიზიკური და სექსუალური ძალადობის როლი ჩვენი პაციენტების კოჰორტაში. შედეგებმა გამოავლინა განსწავლული ქცევის პრიმატი და ფაშ როგორც აგრესიის შენიღბული ფორმა იმ მიკროსაზოგადოებებში, სადაც ქალის სოციალური აქტივობა ოჯახის შიგნით და გარედ არის მკაცრად შეზღუდული.

სომატოფორმული აშლილობების ასეთი ფართო განხილვის შედეგად წამოყენებულია *ფუნქციური სომატური სიმპტომის სავარაუდო პათოგენეზური მექანიზმი*, რომელიც მოიცავს გარესამყაროს, გენეტიკურ, ბიოლოგიურ და კოგნიტიურ ფაქტორებს.

## ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომების მქონე პაციენტთა კლინიკო-ელექტროფიზიოლოგიური მონაცემების შესწავლის და ასევე ფსიქო-სოციალური ფაქტორების გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილია მენტალური აშლილობების სპექტრი, რომელიც თავისი კლინიკური სურათით ორგანულ ნევროლოგიურ დაავადებებს ემსგავსება.

ფუნქციური და ორგანული ნევროლოგიური სინდრომების დიფერენციული დიაგნოსტიკის სიძნელეების პირობებში შემუშავებული და აპრობირებულია სრულიად ორიგინალური ნეიროფსიქიატრიული დიაგნოსტიკური მეთოდოლოგია, რომელიც იხმარება ტრადიციულ დიაგნოსტიკურ მიდგომებთან ერთობლიობაში. აღნიშნული კომპლექსური დიაგნოსტიკა მეტ საიმედოობას ანიჭებს დიაგნოსტიკურ პროცესს და გადაყავს იგი პოზიტიურ ჭრილში.

პაციენტთა კოჰორტის კულტურული ფაქტორების, ფსიქოლოგიური და სოციალური ანამნეზის შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია სომატოფორმული აშლილობების ეტიოლოგიური მოდელები, რომლებშიც დასავლურ ავტორების მიერ წარმოდგენილ მოდელებთან შედარებით განსხვავებული ფაქტორები დომინირებს. ამ ფსიქოსოციალური მოდელების ელემენტების ცოდნა და დროული გამოვლენა დაეხმარება პრაქტიკოს ექიმს დიაგნოსტიკური პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვაში.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მულტიდისციპლინარული მიდგომა, რომელიც ითხოვს ნევროლოგებისა და ფსიქიატრების (ნეიროფსიქიატრების) ერთდროულ ჩართვას პაციენტის მენეჯმენტში, ხელს შეუწყობს ამ ორი დარგის ურთიერთობას და ჩვენი ცოდნის ამაღლებას ფსიქოსომატური მედიცინის ასპექტებში, რომლის გარეშე ძნელია სრულფასოვანი მეურვეობის წარმართვა ფსიქოგენური სინდრომების მქონე პაციენტებში.

პოზიტიური დიაგნოსტიკის მეთოდის გამოყენებით უნდა ველოდოთ შპშ-ის დიაგნოზის გადავადების საშუალო დროის შემცირებას, რაც მოახდენს დადებით გავლენას როგორც აშლილობის პროგნოზზე, ასევე სამედიცინო მენეჯმენტის ეკონომიურ მხარეზე, რომელიც აუცილებლად შეამსუბუქებს დარღვევით გამოწვეულ გლობალურ (სოციალურ და ეკონომიურ) ტვირთს.

ნაშრომში განხილული თეორიული და პრაქტიკული შედეგები შეტანილია სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ნევროლოგიის კათედრისა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრის სალექციო-სასწავლო კურსში.

### **ნაშრომის აპრობაცია**

ნაშრომის ძირითადი შედეგები განხილულია აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე (06.02.2006). ასევე კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მოხსენებული და განხილული იყო აიჩის სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროფსიქიატრიული კათედრისა და ქნაგოიას ფსიქიატრთა საზოგადოების გაფართოებულ სხდომაზე, ქნაგოია, იაპონია (27.09.2004).

ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენებულია აგრეთვე შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

ეპილეფტოლოგთა 22-ე მსოფლიო კონგრესი (დუბლინი, ირლანდია, 1997 წ.) – ორი სასტენდო მოხსენება;

ევროპის მე-3 კონგრესი ეპილეფტოლოგიაში (ვარშავა, პოლონეთი, 1998) – ორი ზეპირი მოხსენება;

ამერიკის ეპილეფსიის საზოგადოების ყოველწლიური კონფერენცია (სან დიეგო, კალიფორნია, აშშ, 1998) – სასტენდო მოხსენება;

ეპილეფტოლოგთა 23-ე მსოფლიო კონგრესი (პრაღა, ჩეხოსლოვაკია, 1999) – სასტენდო მოხსენება;

ევროპის მე-4 კონგრესი ეპილეფტოლოგიაში (ფლორენცია, იტალია, 2000) – სასტენდო მოხსენება.

### **დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა**

დისერტაცია შესრულებულია ქართულ ენაზე. მისი მოცულობა 144 გვერდია. იგი ილუსტრირებულია 23 ცხრილითა და 5 სურათით. ლიტერატურის სია შეიცავს 241 დასახელებას. ნაშრომი წარმოდგენილია 6 თავით, რომლებიც შეიცავენ ქვეთავებს, დასკვნებით და დანართით.

## **მასალა და გამოკვლევის მეთოდები**

კვლევის კლინიკური ნაწილი წარმოებდა 1992 წლიდან 2003 წლამდე პ.სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტში. კვლევის მთავარ კოჰორტებს შეადგენდა ინსტიტუტთან არსებული

ეპილეფსიურ ცენტრში 1987-1988 წლებში მოთავსებული და ინსტიტუტის კლინიკური ნევროლოგიის განყოფილებაში 2001-2002 წლებში ჰოსპიტალიზირებული პაციენტები.

კვლევის თეორიული ნაწილის (კლასიფიკაციური და მეთოდოლოგიური საკითხების გარჩევა) ეტაპები ასევე სხვადასხვა წლებშია შესრულებული ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლის ეპიდემიოლოგიურ კათედრაზე (ბალტიმორი, აშშ), აიჩი სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროფსიქიატრიის კათედრაზე (ნაგაკუტე, იაპონია) და ნევროლოგიური დაავადებების სამედიცინო ინსტიტუტის ნაციონალურ ეპილეფსიურ ცენტრში (შიზუოკა, იაპონია) ავტორის მივლინებების დროს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე იყო გამოყენებული მეთოდათა მთელი პაკეტი, რომელიც წარმოადგენდა ორსაფეხურიან პროცესს. პირველი ეტაპი მოიცავდა ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომების *ნეგატიურ დიაგნოსტიკას*, რაც გულისხმობს ნევროლოგიური დაავადების (და მათ შორის ეპილეფსიის) გამოსავლენად საჭირო სრული დიაგნოსტიკური ალგორითმის გამოყენებას, რომლის შედეგად მივიღებთ მხოლოდ ნეგატიურ პასუხს. მასში იგულისხმება ნევროლოგიური გამოკვლევა, დაავადებისა და ცხოვრების ანამნეზის შეკრება, დაავადების მსვლელობის დინამიური დაკვირვება და ინსტრუმენტალური გამოკვლევები. მათ შორის ელექტროენცეფალოგრაფიული (ემე), ელექტრომიოგრაფიული, 24 საათიანი ამბულატორიული კასეტური ემე მონიტორინგი, კომპიუტერული ტომოგრაფია, ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახვა და სხვა.

პირველი ეტაპის შედეგად კლინიკური ნიშნების შესაბამისი ორგანული დაავადების (დაზიანების) გამოვლენობის შემთხვევაში ფსიქიკური დარღვევის გამოვლენის ეტაპი იწყებოდა. მენტალური აშლილობის დასადგენად იყენებოდა ნეიროფსიქიატრიული გამოკვლევა, რომელიც შეიცავდა ჩვენს მიერ შემუშავებული *მენტალური სტატუსის შემფასებელ შკალას (მსშშ)*. უკანასკნელი შეიქმნა იმ მიზნით, რომ ნევროლოგიურ პაციენტებში ფსიქიკური დარღვევების (როგორც თანაარსებული, ასევე ნევროლოგიური დაავადების შედეგად განვითარებული) ნატიფი დიაგნოსტიკა ყოფილიყო შესაძლებელი. მას საფუძვლად დაედო დასავლეთში ფართოდ გავრცელებული მენტალური სტატუსის გამოკვლევის სქემა, რომელიც მნიშვნელოვნად გამდიდრდა (სამეცნიერო პერიოდის, ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის [აფა] მიერ გამოქვეყნებულ DSM-III-R (1987) და DSM-IV (1994) და პირადი კლინიკური მასალის დამუშავების შედეგად მიღებული) დიაგნოსტიკური ნიშნის მატარებელი სიმპტომებითა და ქცევითი მახასიათებლებით. აქ მთავარი ყურადღება დაეთმო ნევროლოგიურ დაავადებებთან ასოცირებულ პერსონოლოგიურ ნიშნებსა და ქცევით დარღვევებს. ეს შკალა და მისი მეშვეობით პაციენტის მენტალური სტატუსის დინამიკაში შეფასება, ზემოაღნიშნული ალგორითმთან ერთობლიობაში, საფუძვლად დაედო ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომის *პოზიტიური დიაგნოსტიკის* მეთოდს (Gigineishvili, 1998; Гигинеишвили Д.А., Шакаришвили Р.Р. 2006).

ფსიქიკური დარღვევის დიაგნოზის გამოტანა ხორციელდებოდა ჯან-

დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 რევიზიის მენტალური და ქცევითი აშლილობების კლინიკური აღწერილობის და დიაგნოსტიკური კრიტერიუმების შესაბამისად (WHO, 1992-1993). ზემოაღნიშნულ კოპორტებიდან გამოვლენილი ფსიქიკური დარღვევების მქონე პაციენტთა დახასიათება მოცემულია დისერტაციის დანართში (ტაბულა №1 და №2-ის სახით).

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა პირველადი წყაროების მოპოვება უშუალოდ საზღვარგარეთული ორგანიზაციებიდან (აფა, ჯმო), ზემოაღნიშნული დიაგნოსტიკური კრიტერიუმების სრულყოფილი ქართულენოვანი ვერსიის შესაქმნელად (გიგინეიშვილი, 2001; 2005). ქცევითი და მენტალური დარღვევების ამსახველი კლინიკური სიმპტომების მონაცემთა ბანკის შესაქმნელად დამუშავდა ყველა მისაწვდომი ინგლისურენოვანი, როგორც სამედიცინო წიგნები (გამოცემული 1995 წლიდან), ასევე სამედიცინო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები (1980 წლიდან 2005 წლის ჩათვლით). ამ პროცესში იყო ჩართული სტანდარტული საინტერნეტო საძიებო სისტემები (PubMed etc.) ჯონს ჰოპკინსისა და აიჩის უნივერსიტეტების და ჯმო-ს HINARI სამედიცინო ბიბლიოთეკების ქსელების გამოყენებით, მათ განკარგულებაში მყოფ ფიზიკურ საბიბლიოთეკო და ბიბლიოთეკათაშორისო ფონდებთან ერთად.

მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა ავტორის მიერ კომპიუტერული სამედიცინო სტატისტიკის პროგრამის მეშვეობით STATA 7.0 (College Station, TX, USA).

## მიღებული შედეგები

### 1. სომატოფორმული აშლილობების ეპიდემიოლოგია ნევროლოგიურ კლინიკაში

სსნნ0-ს კლინიკური ნევროლოგიის განყოფილებაში 2000-2001 წლებში მოთავსებული (n=623) პაციენტების გაწერის დიაგნოზებს შორის სომატოფორმული აშლილობების სიხშირე (ICD-10 კრიტერიუმების თანახმად) იყო 3.69%. საბოლოო ანალიზში მოხვდა მხოლოდ ის შემთხვევები, სადაც წამყვანი კლინიკური სურათი (ნევროლოგიური და სხვა სომატური სახის ჩივილები) იყო განპირობებული მენტალური დარღვევით და მაშასადამე უკანასკნელი არ იყო თანაარსებული მდგომარეობა რაიმე სომატურ პათოლოგიასთან, რომელიც განაპირობებდა პაციენტის მართვადიანობას ჩვენს კლინიკაში.

სხვა მენტალური დარღვევებიდან აღსანიშნავია დეპრესია (0.64%) და შფოთვითი აშლილობები (0.64%). სომატოფორმული აშლილობების ჯგუფში შემაჯავლი დიაგნოსტიკური ერთეულების გავრცელება მოცემულია ტაბულა №1.

სომატოფორმული აშლილობებით დიაგნოსტირებული პაციენტთა დემოგრაფიული მაჩვენებლები მოყვანილია ტაბულა №2-ში.

**სომატოფორმული აშლილობების გავრცელება  
საკუთარი გამოკვლევის შედეგების საფუძველზე**

სომატოფორმული აშლილობები	2000 წ. (n=298)	2001 წ. (n=325)	ჯამური (n=623)
სომატიზირებული აშლილობა	2 (0.67%)	1 (0.31%)	3 (0.48%) (13%)
კონვერსიული (დისოციაციური) აშლილობა:	9 (3.02%)	7 (2.15%)	16 (2.57%) (69.6%)
კრუნჩხვებით	7	5	
სხვა მოტორული		1	
სტუპორით	1	1	
შერეული	2		
იპოქონდრიული	-	1	1 (0.16%) (4.3%)
არადიფერენციული სომატოფორმული	-	1	1
ტკივილის აშლილობა	-	-	-
სომატოფორმული ვეგეტატიური დისფუნქცია	1 (0.34%)	1	2 (0.32%) (8.7%)
ჯამი	12	11	23 (3.69%)

ტაბულა №2

**სომატოფორმული აშლილობების მქონე პაციენტთა 2000-2001 წ.  
კოჰორტის დემოგრაფიული მახასიათებლები**

სომატოფორმული აშლილობები	N	გენდერული შეფარდება (მდ/მამრ)	საშუალო ასაკი (დიაპაზონი)
სომატიზირებული აშლილობა	3	2/1	30 (20-41)
კონვერსიული/დისოციაციური აშლილობა	16	9/7	27.6 (16-47)
იპოქონდრიული	1	0/1	32
არადიფერენციული სომატოფორმული	1	1/0	15
სომატოფორმული ვეგეტატიური დისფუნქცია	2	2/0	31 (22-40)
ჯამი	23	14/9	27.8 (15-47)

კონვერსიული აშლილობის დიაგნოზის შედარებითი სიჭარბე (69.6%) სხვა სომატოფორმულ აშლილობებს შორის (სომატიზირებული აშლილობა – 13%; სომატოფორმული ვეგეტატიური დისფუნქცია – 8.7%; იპოქონდრიული და არადიფერენციული – 4.3% თითოეული) იყო მოსალოდნელი, რადგან ობლიგატური მოთხოვნა ამ დიაგნოსტიკური ერთეულის გამოსატანად არის ნევროლოგიური დაავადებების სიმპტომთა მსგავსება. ანალოგიური შედეგი იქნა გამოვლენილი ჰოლანდიურ ნაშრომში, სადაც ჩატარდა კონსულტანტ-ფსიქიატრების მიერ გამოტანილი DSM-IIIR სო-

მატოფორმული აშლილობების დიაგნოზების ანალიზი, როგორც ნევროლოგიურ კლინიკაში (კონვერსიული აშლილობა – 66.7%) ასევე ზოგადთერაპიულ კლინიკაში (26.1%) (Thomassen et al., 2003).

აღნიშნულ ფსიქიატრიულ მდგომარეობებს აერთიანებს აუხსნელი სომატური სიმპტომის (ასს) დომინირება დაავადების კლინიკურ სურათში. აუხსნელი ეწოდება იმ სომატურ (მათ შორის ნევროლოგიურ) სიმპტომს, რომლის მიმართ სამედიცინო შეფასება ვერ ავლენს მიმდინარე სომატურ დაავადებას ან მისი განვითარების პათოფიზიოლოგიურ მექანიზმს.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ასს, რომელსაც ფსიქოლოგიური ბუნება გააჩნია, შეიძლება იყოს წარმოდგენილი მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევების კლინიკურ სურათში (ტაბ. №3).

ტაბულა №3

**ფსიქიკური აშლილობანი,  
რომლებიც შეიძლება წარდგენენ სომატური სიმპტომებით**

ICD-10	DSM-IV
ხასიათის (აფექტური) აშლილობანი (F30-F39)	ხასიათის აშლილობანი ( <i>Mood Disorders</i> )
ფობიური შფოთვითი აშლილობანი (F40)	შფოთვითი აშლილობანი ( <i>Anxiety Disorders</i> )
სხვა ფობიური აშლილობანი (F41)	
დისოციაციური (კონვერსიული) აშლილობანი (F44)	სომატოფორმული აშლილობანი ( <i>Somatoform Disorders</i> )
სომატოფორმული აშლილობანი (F45)	
მოზრდილების პერსონოლოგიისა და ქცევის სხვა აშლილობანი (F68)	ხელოვნურად დემონსტრირებული აშლილობანი ( <i>Factitious Disorders</i> )
შიზოფრენია, შიზოტიპალური და ბოდვითი აშლილობანი (F20-F29)	შიზოფრენია და სხვა ფსიქოტური აშლილობანი ( <i>Schizophrenia and Other Psychotic Disorders</i> )
რეაქცია მძიმე სტრესზე და ადაპტაციის აშლილობანი (F43)	ადაპტაციის აშლილობანი ( <i>Adjustment Disorders</i> )

XIX საუკუნის მიწურულს მოწოდებული ისტერიის ფსიქოდინამიური მოდელის თანახმად, სომატური სიმპტომი შეიძლება ჩამოყალიბდეს მიუღებელი ფსიქოლოგიური იდეის ცნობიერებიდან განდევნის (რეპრესიის) და გარდაქმნის (კონვერსიის) საფუძველად. იმ დროიდან ამ სახის სომატურ სიმპტომს კონვერსიულს (ფუნქციურს, სომატიზირებულს, ფსევდონევროლოგიურს) უწოდებენ. ნევროზული მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ამგვარი სიმპტომებით – ისტერიულ ნევროზის კონვერსიულ სახეობას წარმოადგენს. გამოყოფილია კონვერსიული ნევროზის პოლისიმპტომური და მონოსიმპტომური სახეობა. თუკი პირველში (სომატიზირებული აშლილობა) თანამედროვე დიაგნოსტიკური კრიტერიუმების თანახმად (DSM-IV, ICD-10) კონვერსიული ნევროლოგიური სიმპტომი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ორგანიზის სხვა სისტემების ჩივილებთან ერთად, მეორესათვის (კონვერსიული აშლილობა) – ეს ერთადერთი და უცილობელი ნიშანია. ეს ორი სინდრომი იპოქონდრიასა და ტკივილის აშლილობასთან ერთად აყალიბებს სომატოფორმული

აშლილობების კლასიფიკაციურ ქვეჯგუფს.

ბოლო წლებში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად სომატოფორმული აშლილობების სიხშირე არც ისე დაბალია ზოგადი პროფილის სტაციონარში მოხვედრილ პაციენტებს შორის (17.6-20.2% Hansen et al., 2001; Fink et al., 2004). ასევე მაღალია ამ დიაგნოზების გავრცელება ნევროლოგიურ სტაციონარებში (20.5-25% Ekstrand et al., 2004; Fink et al., 2005). თუმცა ჩვენი მასალის საფუძველზე სომატოფორმული აშლილობების სიხშირე არ აღემატება 4% ყველა გამოტანილი დიაგნოზებიდან. მიღებული შედეგების შეუსაბამობა განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. უპირველესად, განსხვავებულია ჩართვის კრიტერიუმები. ჩვენს კვლევაში მენტალური დარღვევების გავრცელება გამოითვლებოდა მხოლოდ წამყვანი დიაგნოზებიდან, ანუ მოიცავდა იმ შემთხვევებს, სადაც სომატოფორმული აშლილობები იყო ნევროლოგიურ კლინიკაში მომართვიანობის მთავარი მიზეზი. ზემოაღნიშნულ პუბლიკაციებში კი აღინუსხებოდა სომატიზაციის ყველანაირი გამოვლინება: როგორც კლინიკურად გამოკვეთილი ნევროლოგიური, ასევე თანაარსებული სხვა მძიმე ორგანულ ან კლინიკურად ნაკლებად თვალსაჩინო პათოლოგიასთან. ეს სხვაობა განპირობებულია მეთოდოლოგიური მიდგომებით და კვლევის მიზნებით. ჩვენს კვლევაში აქცენტი იყო გადატანილი პაციენტებზე 'ნეგატიური შედეგებით', კერძოდ, ნახევრადსტრუქტურული ინტერვიუ მსშმ დახმარებით გამოიყენებოდა იმ პაციენტებში, სადაც ტრადიციული კლინიკური და პარაკლინიკური გამოკვლევების შედეგად გამოირიცხა ნერვული სისტემის ორგანული დაზიანებით გამოწვეული დაავადების არსებობა. მაშინ, როდესაც დასავლურ კვლევებში სომატიზაციის სკრინინგი წარმოებდა ყველა ავადმყოფზე სპეციალიზირებული ინტერვიუს მეშვეობით (PRIME-MD და SCAN შესაბამისად), რომელთა შედეგები უკვე კომპიუტერული პროგრამის დახმარებით გამოიყენებოდა ფსიქიატრიული დიაგნოზების დასასმელად. ასეთ პირობებში სომატოფორმული დიაგნოზების ნაწილი იყო თანაარსებული ნევროლოგიურ ან ზოგადთერაპიულ დაავადებებთან ან შესაძლოა კიდევაც სხვა მენტალურ დარღვევებთან. მაგალითად, ამერიკულ კვლევაში (Ekstrand et al., 2004) სომატოფორმული აშლილობების დიაგნოზებიდან 59.3% (35/59) იყო თანაარსებული ნევროლოგიურ დაავადებებთან. ამ რიცხვის გამოკვლების შემდეგ გამოდის, რომ სომატოფორმული აშლილობები საფუძვლად ედო პაციენტის მომართვიანობას ნევროლოგიურ კლინიკაში 10.2%-ში. ეს გარკვეულად უახლოვდება ჩვენს მონაცემებს. ხაზგასასმელია ასევე, რომ მეორე კვლევის კოჰორტის მხოლოდ ერთ მესამედს (29.3%) წარმოადგენდა პაციენტები კლინიკური დიაგნოზებით, კლასიფიცირებული ICD-10-ით როგორც 'ნერვული სისტემის დაავადებები (G00-G99)'. რთულია ამ შემთხვევაში საუბარი მხოლოდ სომატიზაციის ნევროლოგიურ ასპექტებზე. ამიტომაც, აღნიშნული კოჰორტა განსხვავებულია შემადგენლობით პაციენტთა ჩვენს ჯგუფთან, რაც შეიძლება იყოს შედეგების ასეთი დივერგენციის მიზეზი. თავისი წვლილი შეიძლება შეიტანოს ასევე მომართვიანობის სურათმა, რომელზეც ქვეყნის სოციო-ეკონომიური ფაქტორები ახდენენ გავლენას.

## 16

არადამაკმაყოფილებელმა სოციალურმა პირობებმა და მოსახლეობის მცირე ნაწილის ჩაბმამ სრულფასოვანი სამედიცინო დაზღვევის სისტემაში შეიძლება განაპირობოს ქრონიკულად მიმდინარე, სიცოცხლისათვის არასახიფათო დაავადებების მქონე პაციენტების მხრიდან სამედიცინო მომსახურების იშვიათი მოთხოვნა.

## 2. ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომები და პოზიტიური დიაგნოსტიკური ტესტები

ფსიქოგენური ნევროლოგიური სიმპტომების კლინიკური გამოვლენა მრავალფეროვანია, იგი შეიძლება იყოს ნერვული სისტემის პრაქტიკულად ნებისმიერი ორგანული დაზიანების იმიტატორი. ლიტერატურული მონაცემებზე დაყრდნობით ნევროლოგიურ კლინიკაში მოთავსებულ პაციენტებს შორის კონვერსიული სიმპტომების სიხშირე იყო შემდეგნაირი (აბსოლუტურ მაჩვენებლებში):

სიმპტომი	Marsden (1986)	Lempert et al. (1990)
პარეზი	12	79
მონო- ჰემი- პარეზი		31 20
ატაქსია	6	66
ასტაზია/აბაზია		52
ანესთეზია	5	81
პარესთეზია		83
გულყრა	11	81
ამნეზია	4	2
სიბრმავე	5	6
ტკივილი	5	150
თავბრუსხვევა		85
ღისფავია		4
გულისრევა		4
დიზართრია		9

ფსევდონევროლოგიური სიმპტომების წვლილი სომატიზირებული აშლილობის კონცეფციაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ DSM-IV (1994) დიაგნოსტიკურ კრიტერიუმების თანახმად 33 სიმპტომთა საერთო ნუსხიდან ისინი წარმოადგენენ 13 სიმპტომს (39.4%) და დასავლეთის ქვეყნებში ჯანდაცვის პირველად რგოლში მეტად გავრცელებული დიაგნოსტიკური ინტერვიუს (CIDI; Robins et al., 1998; Interian et al., 2004) 41 სომატიზირებულ სიმპტომთა შორის – 15-ს (ტაბ. №5).



**ფსევდონევროლოგიური სიმპტომა ნუსხა CIDI-ს სომატიზირებულ მოდულში და სომატიზირებული აშლილობის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებში (DSM-IV-ის თანახმად)**

	სომატიზირებული აშლილობის DSM-IV დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	პირველად ჯანდაცვის გამოკითხვის საერთაშორისო სქემა CIDI
1	კოორდინაციისა და წონასწორობის დარღვევა	წონასწორობის დარღვევა
2	დამბლა ან ლოკალური სისუსტე	დამბლა
3	ყლაპვის გაძნელება ან ყელში გაჩხირვა	ყელში გაჩხირვა და ყლაპვის გაძნელება
4	აფონია	ხმის დაკარგვა
5	შარდის შეკავება	-
6	ჰალუცინაციები	-
7	ტკივილი ან შეხების შეგრძნების დაკარგვა	ფეხში ან ხელში შეგრძნების დაკარგვა
8	გაორება	გაორება
9	სიბრმავე	სიბრმავე
10	სიყრუე	სიყრუე
11	გულყრა	გულყრა/კონვულსიები
12	ამნეზია	ამნეზია
13	გულის წასვლისგან განსხვავებული გონების დაკარგვა	გონების დაკარგვის სხვა ფორმები
14	-	მხედველობის დაბინდვა
15	-	გულის წასვლა
16	-	სისუსტე
17	-	დაბუყებისა და ჩხვლეტის შეგრძნება

იმ 16 პაციენტს შორის, რომლებსაც 2000 წელს სსნნი-ს კლინიკური ნევროლოგიის განყოფილებაში მოთავსებულ საერთო რიცხვიდან (298) დაუდგინდათ ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი, ფსიქოგენური სიმპტომების სიხშირე მითითებულია ტაბ. №6-ში.

მიჩნეულია, რომ სომატიზაცია წარმოადგენს ავადმყოფობის წარმოჩენის ერთ-ერთ ფორმას, სადაც სომატური სიმპტომები წამოიწევა წინ ემოციური დისტრესისა და სოციალური პრობლემების დასაჩრდილავად (Kleinman, 1977). ჯანმრთელობის (და შესაბამისად ავადმყოფობის) აღქმა კი მეტად *კულტურალურ* ფაქტორზეა დამოკიდებული. მისი ზემოქმედების შედეგად ყალიბდება როგორც დაავადების კლინიკური წარმოჩენა, ასევე ფსიქოლოგიური დაძლევის მექანიზმები და მენეჯმენტის (მოვლისა და მკურნალობის) მისაღები სახეობა.

ჩვენი მასალის საფუძველზე თავის ტკივილისა და გულისცემის ჩივილები იყო წამყვანი გულის წასვლის/გონების დაკარგვის ეპიზოდებთან ერთად. ფუნქციური სიმპტომების ასეთი გამოვლენა, ჩვენი აზრით, განპირობებულია პოპულაციის ეთნო-კულტურული თავისებურებებით, კერძოდ სხეულისა და ჯანმრთელობის აღქმის ფსიქობიოლოგიური

ფაქტორებით. თავი და გული წარმოადგენს დასავლური (ქრისტიანული) დუალისტური ფილოსოფიის სულისა და ხორცის ეკვივალენტებს. გონების დაკარგვის პაროქსიზმები კი ყველაზე დრამატულ სომატურ გამოვლენას, რომელიც მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. სამხრეთული ტემპერამენტის გათვალისწინებით (რაც ჩვენი პოპულაციის განსაკუთრებით დასავლურ ნაწილისთვისაა დამახასიათებელი) არ არის გასაკვირი დაძაბულობის ტიპის ცეფალგიების დიდი გავრცელება სომატოფორმულ აშლილობებს შორის მაშინაც კი, როდესაც სომატიზაციის სპექტრში არ დომინირებს სომატოფორმული ტიპის აშლილობა (F45.4).

ტაბულა №6

**კონვერსიული სიმპტომები (ავტორის მასალა)**

სიმპტომი	სიხშირე
თავის ტკივილი/სხვა ტკივილი	9/2
გულისცემა	9
გულის წასვლა/გონების დაკარგვა	3/7
პაროქსიზმები/კონვულსიური	10/7
სუნთქვის გაძნელება	7
ურთულვა/კანკალი	6
დისკომფორტი გულმკერდის არეში	6
გულისრევა	6
ოფლიანობა	5
დაბუჟება	4
ღებინება	3
სიბრმავე	2
ანესთეზია	2
სისუსტე კიდურებში	2
ამნეზია	1
დაღლილობა	1

კონვერსიული აშლილობის დიაგნოზს (ICD-10-ს კრიტერიუმების თანახმად) აკმაყოფილებდა 9 პაციენტი (3%; 4 ქალი და 5 მამაკაცი), ეს მაჩვენებელი მეტია, ვიდრე ბრიტანელების მიერ მოყვანილი კონვერსიული დიაგნოზების სიხშირე ლონდონის ნაციონალურ ჰოსპიტალში მოთავსებული ნევროლოგიური პაციენტების საერთო რიცხვიდან (0.85%-1.55%; 1%, Marsden, 1986). მაგრამ ეს შეიძლება აიხსნას კონვერსიული აშლილობის გამოსავლენი დიაგნოსტიკური კრიტერიუმების განსხვავებით: ბრიტანელები ეყრდნობოდნენ DSM-III-ის კრიტერიუმებს და ჩვენ კი უსარგებლობთ ICD-10 კლასიფიკაციით. პაროქსიზმების მქონე პაციენტების ნახევარი (5) იქნა მოთავსებული ჩვენს კლინიკაში სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ.

კონვერსიული ხასიათის მგრძნობელობისა (სენსორული) და მოძრაობის (მოტორული) მოშლას ბევრი რამ განასხვავებს ნერვული სისტემის

ორგანული დაზიანებისაგან. პირველ რიგში ეს განსხვავება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ფუნქციური დარღვევისას სიმპტომები შეესაბამება პაციენტის წარმოდგენას სხეულის ნაწილის ფუნქციის მოშლაზე და არა ანატომიურად შესტყვის ორგანული დაზიანების პატერნს. კონვერსიული მოტორული დეფიციტის მქონე პაციენტს აღენიშნება ნორმალური რეფლექსები, უხშირესად ნორმალურ კუნთთა ტონუსი და ნეგატიური ბაზინსკის ნიშანი. პაციენტის ქცევაზე ხანგრძლივი დაკვირვებისას ან სხვა თემაზე მისი ყურადღების გადატანისას აღინიშნება 'პარეტული' კუნთის ძალის ცვალებადობა ან დროებითი აღდგენა. ამ პოზიტიურ ნიშნებთან ერთად განიხილება სხვადასხვა ტესტები, რომელიც ორგანული დაავადების არარსებობის პარალელურად ეხმარება მკვლევარს გამოავლინოს ნევროლოგიური სიმპტომის ფუნქციური ხასიათი. ლიტერატურაში მოძიებული ტესტებიდან ყველაზე მაღალი სენზიტიურობა გამოავლინეს ქვემოჩამოთვლილმა ტესტებმა.

ტაბულა №7

**ფუნქციური ნევროლოგიური დეფიციტის გამოსავლენი ტესტების აღწერილობა**

ტესტი	ფუნქციური დაზიანება	ორგანული დაზიანება
მკერდ-ლავიწ-დვრილისებური კუნთის	სისუსტე თავის მოტორიალებისას ჰემიპარეტულ მხარეს	სისუსტე თავის მოტორიალებისას ჰემიპარეზის საპირისპირო მხარეს
'ჰუვერის' ქვედა კიდურის	პარეტული ფეხის ქუსლის ზეწოლის განსხვავება მკვლევარის ხელზე ნებითი (ქუსლის გამართვა) და უნებლიე (მეორე ფეხის აწევა მასზე გაწეული წინააღმდეგობის ფონზე) გაშლის დროს	პარეტული ფეხის ქუსლის ზეწოლის განსხვავების არარსებობა მკვლევარის ხელზე ბარძაყის ნებითი და უნებლიე გაშლის დროს
მონოპლეგიური ფეხის თრევა	პაციენტი ფეხს ერთიანად ითრევს უკან, ბარძაყის როტაცია ან კოჭის შეტრიალება/ ამოტრიალება. საწოლზე დაწოლისას დასახმარებლად იყენებს ორივე ხელს	სპასტიკური სიარული: ბარძაყისა და მუხლის გაშლა, კიდურის ცირკუმდუქცია და ტერფის პლანტარული მოხრა და შეტრიალება თითების თრევით იატაკზე
სენსორული დარღვევა ჰემიტიპით	მგრძნობელობის მოშლა ზუსტად შუა ხაზზე, ირთავს ხოლმე ყველა მოდალობას	გენიტალიებზე და მკერდზე მოსალოდნელია არა შუა ხაზზე, არამედ პარამედიალურად 1-2 სმ შიგნით

92% სენზიტიურობა გამოავლინა მკერდ-ლავიწ-დვრილისებური კუნთის ტესტმა, სხვა ტესტების სენზიტიურობა მერყეობდა 85-90% ფარგლებში. მაგრამ ყოველი ტესტი დაკავშირებულია სხეულის კერძო ნაწილის (კიდურის ან კიდევაც კუნთის) ნევროლოგიურ ფუნქციონირებასთან, რაც ფუნქციური დარღვევების მრავალფეროვნების პირობებში

შეიძლება არც კი იყოს წარმოდგენილი კონკრეტულ შემთხვევაში. ზემოაღნიშნული ტესტების სისუსტე მდგომარეობს ასევე იმაში, რომ მათ არ გააჩნიათ მაღალი ვალიდობა, ანუ მსგავსი პოზიტიური შედეგი მოსალოდნელია ასევე სხვა ვითარებებში (შეზღუდვა ტკივილით, ორგანული და ფუნქციური სისუსტის კომბინირება, სიმულაცია ან პაციენტის გადამეტებული მზადყოფნა დაეხმაროს ექიმს და ა.შ.), როდესაც პაციენტს ნამდვილად არა აქვს კონვერსიული მოტორული დეფიციტი. ამიტომაც ფუნქციური დეფიციტის არსებობის ყოველგვარი ვარაუდი უნდა განიხილოს ერთობლიობაში ანამნეზურ მონაცემებთან, დაავადების ისტორიასთან და სხვა გარემო ფაქტორებთან (კერძოდ, დაავადების მოდელის არსებობა მის გარემოცვაში და ა.შ.).

### 3. ფსიქოგენური არაეპილეფსიური გულყრების პოზიტიური დიაგნოსტიკური ალგორითმი

‘არაეპილეფსიური შეტევები’ (აშ) გულისხმობს ისეთ ქცევას, რომელიც ეპილეფსიური გულყრის მსგავსია, მაგრამ, რომელსაც საფუძვლად არ უდევს თავის ტვინის რუხი ნივთიერების გადამეტებული განტვირთვა, რის გამოც ეპი-ზე არ ვლინდება ეპილეფსიური გულყრისთვის დამახასიათებელი ცვლილებები. აშ-ს მიზეზი შეიძლება იყოს ორგანული დაავადება ან ემოციური დარღვევა. უკანასკნელს ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევები ეწოდება (შაშ). თავისი დრამატული კლინიკური გამოვლენის და დიაგნოსტიკური შეცდომების მაღალი რისკის გამო (12.8-20% რეზისტენტული ეპილეფსიის ჯგუფში – Gates et al., 1985; Guberman & Bruni, 1999; Smith et al., 1999), აშ-ს დროული და ზუსტი დიაგნოსტიკა წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს და ერთ-ერთ ყველაზე ძნელ ამოცანას ფსევდონევროლოგიურ სიმპტომთა შორის. ტრადიციულად, მისი დიაგნოსტიკა ეფუძნება *ეპილეფსიის გამორიცხვის მეთოდს*, ანუ შეიცავს ყველა იმ ეტაპებს, რაც აუცილებელია ეპილეფსიის გამოსავლენად. ისინი შემდეგია: ნევროლოგიური გამოკვლევა და დაავადების სრულყოფილი ანამნეზის შეკრება, დაავადების ოჯახური ისტორიისა და ბავშვობაში გადატანილი დაავადებების გამოვლენა, შეტევის სემიოლოგია, პროლაქტინის განსაზღვრა შრატში, ელექტროფიზიოლოგიური მეთოდები (რუტინული და ამბულატორიული 24 საათიანი ეპი, ვიდუო-მონიტორინგი, შეტევის ხელოვნურად გამოწვევა), ფსიქოლოგიური ტესტირება და ნეირორადიოლოგიური გამოკვლევა (სტრუქტურული და ფუნქციური ბმრ გამოსახვა), ანტიეპილეფსიური თერაპიის ეფექტურობა.

თუკი შეტევა არაპროვოცირებულია, ზემოაღნიშნული გამოკვლევების საფუძველზე მიღებული პოზიტიური შედეგები მიუთითებენ შეტევის ეპილეფსიურ ბუნებაზე. შემდეგ კლინიციისტი ავლენს გულყრის სახეობას, ეპილეფსიურ სინდრომს და ეპილეფსიის ეტიოლოგიას. ეს დიაგნოსტიკური ალგორითმი (რომელიც თავად მოითხოვს საგრძნობ გამოცდილებას და უნარს) არ პასუხობს იმ კითხვაზე, რა ბუნებისაა შეტევა, თუკი მისი ეპილეფსიისადმი მიკუთვნება არ მტკიცდება. არ უნდა

დაგვაიწყდეს ისიც, რომ აღნიშნულ ალგორითმს მაინც მივყავართ დიაგნოსტიკურ შეცდომებამდე.

ეპილეფსიის დიაგნოსტიკური ტესტების ანალიზმა უჩვენა, რომ არც ერთი მეთოდი არ არის სრულად საიმედო. თვით 'ოქროს სტანდარტად' აღიარებული ვიდეო-ტელემეტრიის ანალიზიც კი ზოგჯერ შუბლისა და საფეთქლის დრმა მედიობაზალური სტრუქტურებიდან გენერირებული პარციალური შეტევების დროს არ ასახავს ელექტროგრაფიულ კორელატებს სკალპურ ჩანაწერში (Mattson, 1993; Wyler et al., 1993; Williamson, 1993; Lesser, 1996; Luciano, 2002). ამიტომაც ეპილეფსიის დიაგნოზი რჩება კლინიკური, ანუ იგი ეჭვგარეშე მოითხოვს კომპლექსურ განხილვას ყველა დანარჩენ მეთოდებთან ერთად. ლიტერატურაში ფართოდ ცნობილია, რომ *მეზ-ს ინტერპრეტაცია* არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან – ელექტროგრაფიული ფენომენების როგორც გადამეტებული, ასევე ფიზიოლოგიური ნორმის საზღვრებში უსაფუძვლო შეფასებით (Benbadis & Tatum, 2003). მაგალითად, ჩვენს მიერ რეტროსპექტიულად ჩატარებულმა მკაფიოდ დადგენილი შაშ-ის შემთხვევების ანალიზმა უჩვენა, რომ ინტერიქტალურ პერიოდში პაციენტთა 50%-ში გამოვლინდა მკაფიო ცვლილებები (თეტა- ან მახვილტალღოვანი კომპლექსების სახით) სკალპურ მეზ-ზე (Gigineishvili, 1999). ეს მიუთითებს გულყრათაშორისი მეზ-ს აუქჩარებელი ანალიზის აუცილებლობაზე იმ პაციენტებში, რომლებიც წარდგებიან ქცევითი პაროქსიზმებით.

ჰიპერდიაგნოსტიკის ასაცილებლად და პაროქსიზმის ბუნების სწორი გამოვლენისათვის, ჩვენი აზრით, "შეტევის" მიზეზად ერთნაირად უნდა განიხილებოდეს, როგორც ნევროლოგიური (და მათ შორის ეპილეფსიური), ასევე კარდიოლოგიური, მეტაბოლური ან ფსიქიკური მოშლილობები. თუმცა ეს დებულება მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო აზროვნების სწორ ჩამოყალიბებაში, იგი არ არის ამომწურავი, რადგან ავლენს მხოლოდ დისციპლინას და არა კონკრეტულ სინდრომს, რომლის მიმართ უნდა იყოს მიმართული შემდგომი მენეჯმენტი.

სხვადასხვა წყაროები მიუთითებენ, რომ შაშ-ს ლომის წილი უკავია არაეპილეფსიურ შეტევებს შორის (Kanner & Iriarte, 1999; Guberman & Bruni, 1999; Smith et al., 1999). ბოლოწლების პუბლიკაციების თანახმად (Gates, 2000; Devinsky & Paradiso, 2000; Luciano, 2002) ფაშ შეიძლება გამოვლინდეს მრავალი მენტალური დარღვევის კლინიკურ სურათში (ტაბ. №8).

აღნიშნული საკითხის შესასწავლად ჩვენს მიერ იყო გამოყენებული შაშ-ის *პოზიტიური დიაგნოსტიკის მეთოდი*, რომელიც საშუალებას გვაძლევდა გამოგვევლინა კონკრეტული მენტალური დარღვევა, რომელიც კლინიკურად ვლინდებოდა პაროქსიზმებით (სურათი №1).

ნევროლოგიურ კლინიკაში მიღებულ ტრადიციული გამოკვლევათა პაკეტს (ნეგატიური დიაგნოსტიკის კომპონენტი) დაემატა ფსიქომეტრული გამოკვლევა (პოზიტიური კომპონენტი). მიღებული შედეგების თანხვედრის შემთხვევაში, კერძოდ, ეპილეფსიის უარყოფითი მონაცემები და სომატოფორმული აშლილობის დადებითი შედეგები მკვეთრად ზრდის ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევების დიაგნოზის სარწმუნოობას.

- I. სომატოფორმული აშლილობანი
  - A. სომატიზირებული აშლილობა
  - B. კონვერსიული აშლილობა
  - C. არადიფერენციული სომატოფორმული აშლილობა
- II. დისოციაციური აშლილობანი
  - A. დისოციაციური ფუგა
  - B. დეპერსონალიზირებული აშლილობა
- III. შფოთვითი აშლილობანი
  - A. პანიკური აშლილობა
  - B. პანიკური აშლილობა აგორაფობიით
  - C. პოსტტრავმული სტრესული აშლილობა
  - D. მწვავე სტრესული აშლილობა
- IV. ფსიქოტური აშლილობები
- V. ხელოვნურად დემონსტრირებული აშლილობა
- VI. სიმულაცია

1997-1998 წლებში სსნნი ეპილეფსიურ ცენტრში გამოტანილ არაეპილეფსიურ დიაგნოზებს შორის (35 შემთხვევა) ფსიქოგენური იყო 77.1% (27). მათ შორის სომატოფორმულ დარღვევებს ეკავათ უდიდესი ნაწილი (55.6%), პანიკურ აშლილობას – 18.5%, პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას – 7.4%, დეპრესიას – 7.4% და სიმულაციას – 3.7%. ფაშ-ის ჯგუფიდან 5 შემთხვევაში გამოვლინდა ეპილეფსიის თანაარსებობა (ან ამჟამინდელი, ან ანამნეზში დადასტურებული ეპილეფსიური შეტევებით). ამ ჯგუფის შემთხვევათა ერთ მესამედში იყო მოხსნილი წინათ გამოტანილი რეზისტენტული ეპილეფსიის დიაგნოზი, ორი პაციენტი იყო მოთავსებული ეჭვით ეპილეფსიურ სტატუსზე, იქედან ერთი კიდევაც ინტუბირებული.

**არაეპილეფსიური შეტევების მქონე პაციენტთა  
1997-1998წ. კოჰორტის დემოგრაფიული მახასიათებლები**

არაეპილეფსიური შეტევების მიზეზი	N	გენდერული შეფარდება (მდ/მამრ)	საშუალო ასაკი (დიაპაზონი)
სომატიზირებული აშლილობა	2	2/-	47.5 (45-50)
კონვერსიული/დისოციაციური აშლილობა	8	6/2	23.8 (14-45)
სხვა დისოციაციური აშლილობა	5	4/1	21.2 (18-25)
სიმულიცია	1	1/-	52
ფაშ	27	19/8	28.1 (14-52)
ჯამი	35	25/10	26.9 (14-52)

ეპილეფსიის შეცდომით გამოტანილი დიაგნოზის ანალიზმა გამოავლინა, რომ ყველაზე ხშირი ფაქტორი, რომელმაც ეპილეფსიის ჰიპერდიაგნოსტიკაში ითამაშა როლი, იყო ექიმების მიერ დასკვნის გამოტანა



2000-2001წ მასალის საფუძველზე, ფაშ გამოვლინდა პაციენტებში შემდეგი დიაგნოზებით: დიცოსიაციური (კონვერსიული) აშლილობა – 76.4% (13); სომატიზირებული აშლილობა – 11.8% (2) და დარჩენილ 2 შემთხვევაში – პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (11.8%). როგორც შედეგებიდან ჩანს, აშ-ს შორის დომინირებს ემოციური ბუნების შეტევები და ამ უკანასკნელთ შორის – დისოციაციური/კონვერსიული. ეს სახეებით შეესაბამება საერთაშორისო კვლევების შედეგებს, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგან საერთაშორისო კლასიფიკაციების მიხედვით არაეპილეფსიური კრუნჩხვები შეტანილია როგორც კონვერსიული აშ-ლილობის დიაგნოსტიკური კრიტერიუმი (დისოციაციური კრუნჩხვები – F44.5). არსებული მონაცემები ზურგს უმაგრებენ პოზიტიური დიაგნოსტიკის აუცილებელ დანერგვას ეპილეფსიურ და/ან ნევროლოგიურ კლინიკაში, რომელიც ეფუძნება მულტიდისციპლინარულ (და კერძოდ, ნევროლოგიურ და ფსიქიატრიულ) მიდგომების ერთობლივ გამოყენებას.

**4. ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევების კლასიფიკაცია სემიოლოგიური ნიშნით**

პროსპექტული კვლევის შედეგად, რომელიც 2000-2001 წელს შესრულდა ჩვენს კლინიკაში, კლინიკური სემიოლოგიის საფუძველზე ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევები დაიყო ითხ მთავარ ქვეჯგუფად.

ტაბულა №10

**ჩვენს მიერ გამოყოფილი შაშ-ის კლინიკური ფორმები**

გულის წასვლა	იწყება ვეგეტატიური სახის ჩივილებით: გულისცემა, გულისრევა, დისკომფორტი გულმკერდის არეში, შემდეგ ვითარდება ტონუსის მოდუნება, ჩაკეცვა, ვარდნა ტრავმის გარეშე, გარე სამყაროსთან რეაგირების დათრგუნვა, მინიმალური და იშვიათი მოტორული კომპონენტებით.
დემონსტრაციული	სუნთქვის გაძნელება, გულისცემა, გულის არეში არასასიამოვნო შეგრძნება, ურჟოლვა, კანკალი, კიდურის ტონური დაჭიმულობა, ცნობიერების ვარიაბელური დათრგუნვა (ზერელედან ღრმა სტუპორამდე). თავისი მოტორული გამოვლენით იგი არ არის დრამატული
აფორიაქებული	ფსიქომოტორული აგზნების მსგავსი ვეგეტატიური სიმპტომატიკით (გულისცემა, ოფლიანობა, სუნთქვის მოშლა), რომელიც გადაიზრდება აჟიტაციაში და აგრესიულ მოტორულ ქცევაში – კედელზე მუშტების ბრახუნით, თავის თავისთვის ზიანის მიყენებით, როგორც წესი ვითარდება წოლით მდგომარეობაში
ეპილეფსიური დიდი გულყრის მაგვარი	საწყისი შეიძლება იყოს გულისცემა, გულისრევა, თავბრუსხვევა, სუნთქვის გაძნელება, შემდეგ ტონურ-კლონური, ტონური ან კლონური კრუნჩხვები, ოპისტოტონუსით (რკალი), მეანის ხელით, მცირე მენჯის ბიძგითი მოძრაობებით, რეაგირების მკაფიო დათრგუნვით; ვითარდება უმეტესწილად წოლით მდგომარეობაში



კვლევაში შევიდა მხოლოდ ის პაციენტები, რომელთა ტიპური შეტევები უშუალოდ იყო ნანახი მკურნალი ექიმის ან სპეციალურად მომზადებული სამედიცინო პერსონალის მიერ. მოპოვებული აღწერილობა, მოწმეების ჩვენებები და ანამნეზის დეტალური ანალიზი საფუძვლად დაედო შეტევების კლინიკური ფორმების აღწერილობას (ტაბ. №10).

ლიტერატურაში არსებობს აშ-ს სხვადასხვანაირი კლასიფიკაციები: ერთი გულისხმობს მათ დაყოფას ეპილეფსიური გულყრების კლასიფიკაციის თანახმად – კონვულსიურ და არაკონვულსიურზე (რთული პარციალური, აბსანსი და ატონურის მაგვარი შეტევები) (Kanner & Parra, 2000). მეორე კი აღწერილობითი სახისაა – უკვე აღნიშნული ატონური (swoon), ბავშვურ-აფექტური (tantrum) და ემოციური განტვირთვა (abreactive) (Betts & Duffy, 1993; Betts, 1997). ჩვენი მასალის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მეოთხე ჯგუფის გამოყოფა, სადაც წარმოდგენილია მოტორული კომპონენტი კიდურების ტრემორით და ტონური დაჭიმულობით, რომელიც შედარებით ნათელი ცნობიერების ფონზე ვითარდება (განსხვავებით 'გულის წასვლის' ფორმისაგან) და არ შეიცავს აგრესიული და აუტირებული ქცევის კომპონენტებს (აფორიაქებული სახის შეტევასთან განსხვავებით). 2000-2001 წლის მასალის საფუძველზე ამ შეტევების გავრცელება შემდეგნაირია.

ტაბულა №11

**შაშ-ის კლინიკური ფორმების გავრცელების სიხშირე**

გულყრის სახეობა	გავრცელება (n=17)	მამაკაცები (n=7)	ქალები (n=10)
გულისწასვლით	29.4% (n=5)	14.3%	40%
დემონსტრაციული	35.3% (n=6)	57.1%	20%
აფორიაქებული	11.7% (n=2)	14.3%	10%
დიდი გულყრის მსგავსი	29.4% (n=5)	14.3%	40%

შეიძლება ითქვას, რომ ქალებისათვის მეტად დამახასიათებელია 'გულის წასვლის' და 'დიდი გულყრის' მსგავსი შეტევები, მამაკაცებისათვის კი – 'დემონსტრაციული' ტიპის.

სამედიცინო ლიტერატურაში ფართოდ განიხილება სექსუალური და ფიზიკური ძალადობის როლი ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევების განვითარებაში (Bowman & Markand, 1996; 1999). ზოგიერთი ავტორი კიდევაც მიუთუითებს ფაშ-ის კლინიკური ფორმის კავშირს წარსულში გადატანილ ძალადობრივ აქტთან (Betts & Boden 1991; Abubakr et al., 2003). ჩვენი მასალის საფუძველზე, როდესაც ორივე კოჰორტაში მეოფი პაციენტების ანამნეზში არ გამოვლინდა სექსუალური ძალადობის ფაქტი, ძნელია დაადასტურო ზემოთ მოყვანილი დაკვირვება. პირიქით, ჩვენი ვარაუდით სხვა ფაქტორები არის მნიშვნელოვანი შაშ-ის პათოგენეზში. კერძოდ, დახურულ და ჩაკეტილ საზოგადოებებში ქალის სოციალური და ოჯახური უფლებები და აქტივობა სავარაუდოა იყოს საგრძნობლად შეზღუდული. ასევე არსებობს მრავალი ბარიერი ქალები-

სათვის განათლების და პროფესიის დასაუფლებლად. შედეგად, ინდივიდი განწირულია პრიმიტიული პერსონოლოგიის ჩარჩოებისთვის. ნებისმიერი რთული ვითარება (ინტერპერსონალური და სოციალური დაპირისპირება), რომელიც მოითხოვს იმ საზოგადოების ტრადიციული ქცევითი სტანდარტებიდან გამოსვლას (ანუ მის წესების საწინააღმდეგო საქციელს) იწვევს ინტრაფსიქიურ კონფლიქტს, რომელიც საპასუხოდ აამოქმედებს ქვეცნობიერ არქაულ მექანიზმებს, რომელიც მოიცავს *ავადმყოფის როლის მითვისებას*. მაშასადამე, ფსიქოგენური აშლილობა არის რისხვისა, დაუკმაყოფილებლობისა და კონფლიქტის (პიროვნების მოთხოვნილებასა და ვალდებულებას შორის) გადაუჭრელობის სიმბოლური გამოვლენა. ასეთი სავარაუდო მექანიზმი ახასიათებდათ ეთნიკური უმცირესობის უკლებრივ ყველა წარმომადგენელს, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენს შაშ-ით დიაგნოსტირებულ პაციენტთა კორტის არანაკლებ ერთ მეხუთედს.

სხვა ეტიოლოგიურ მოდელებს შორის აღსანიშნავია *განსწავლული ქცევის* პატერნი, როდესაც ავადმყოფობა გარკვეულად სასურველი და კიდევაც მომგებიანი ხდება პიროვნებისათვის, ვინაიდან იგი ასეთი ქცევითი პატერნის მეშვეობით იმკის ყურადრებასა და სარგებელს საზოგადოების მხრიდან, რომელიც სხვა პირობებში მისთვის მიუღწეველია. ასეთი ქცევის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ბავშვობაში გადატანილი ავადმყოფობის, ან კიდევ ოჯახის რომელიმე წევრის ქრონიკული დაავადების პირობებში მიღებული გამოცდილება. ამ ბაზისური მოდელის გარდა ომგადატანილ ჯარისკაცებსა და მოსახლეობაში ფაშ განიხილება როგორც პოსტტრავმული სტრესული აშლილობისათვის დამახასიათებელი განცდების (*ტრავმატული მოგონებების*) ფორმა.


მენტალური და ქცევითი დარღვევების მოქმედი კლასიფიკაციების ანალიზმა უჩვენა, რომ წარმოდგენილი სემიოლოგიური კლასიფიკაციის შესაბამისად ფაშ-ის ცალკეული ფორმები არ არის სრულად ასახული აღნიშნულ ტაქსონომიებში. კერძოდ, მოტორული ფორმები, როგორცაა დიდი გულყრის მსგავსი და აფორიაქებული, იოლად ეტყვა კრუნჩხვითი გულყრების კონვერსიული-დისოციაციური აშლილობის ქვესექციაში (F44.5 – ICD-10; 300.11–DSM-IV). დემონსტრაციული მეტწილად ესადაგება აპა-ს მიერ შემოთავაზებულ კონვერსიული აშლილობის გულყრებიან ფორმას (300.11 Conversion disorder with seizures or convulsions). მაგრამ არამოტორული შაშ-ის გულისწასვლის ფორმა, დიაგნოსტიკური განმარტებების შესაბამისად, არ შეესატყვისება კონვერსიული კრუნჩხვების კატეგორიას. ნაწილი დასავლური ავტორებისა მას განიხილავს როგორც დისოციაციური აშლილობის არასპეციფიურ ფორმას (300.15 – Bowman & Markand, 1996), ზოგი კი როგორც პოსტტრავმული სტრესული აშლილობის გამოვლენას (Betts, 1997). ასეთი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალება იმიტომაც რჩება, რომ კლასიფიკაციებში შაშ-ის აბსანსის მსგავსი ფორმები არ არის განხილული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შემდგომი DSM-V ვერსიის მზადებაში მიზანშეწონილია ეპილეფტოლოგიების ჩართვა, რათა გამოინახოს ფაშ-ის ამ ფორმების ადეკვატური დიაგნოსტიკური კატეგორია.

## 5. ფუნქციური სომატური სიმპტომების ეტიოლოგიური მოდელი

კანადელი მკვლევარების ჯგუფმა ფლო-ჰენრის ხელმძღვანელობით 80-ან და 90-ან წლებში მრავალი ნეიროფსიქოლოგიური და ნეიროფიზიოლოგიური კვლევების საფუძველზე გამოთქვა აზრი, რომ ლატერალიზებული კონვერსიული სიმპტომი არის ჰემისფეროთაშორისი ურთიერთობის მოშლის შედეგი მარჯვენა ჰემისფეროს უპირატესი აქტივაციით (Flor-Henry et al., 1981; Flor-Henry et al., 1990). თავის ტვინის მარჯვენამხრივი სტრუქტურული და ფიზიოლოგიური ცვლილებები იქნა გამოვლენილი პაციენტებში კონვერსიული კრუნჩხვებით ეპილეფსიის მქონე პაციენტებთან შედარებით (Devisnky et al., 2001). მაგრამ კვლევებმა ფუნქციური ნეიროვიზუალური მეთოდების გამოყენებით (პოზიტრონულ-ემისიური (პმტ) და ფუნქციური ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახვა) პაციენტის მოტორული ან სენსორული ფუნქციური დეფექტის დროს გამოავლინა აქტივაცია არა პირველად მოტორულ ან სენსორულ უბნებში, რაც ჯანსაღ პირებში გამოიწვევა სათანადო მოტორული ან სენსორული დატვირთვის პირობებში, არამედ სხვა უბნებში, მაგალითად, მარჯვენა ორბიტოფრონტალურ და წინა სარტყელში (Marshall et al., 1997; Halligan et al., 2000; Mailis-Gagnon et al., 2003; Werring et al., 2004; Гигинейшвили Д.А., Шакаришвили Р.Р. 2006). აღნიშნულმა კვლევებმა წინ წამოწიეს ცნობიერი აქტიური დათრგუნვის (conscious active inhibition) როლი ფსიქოგენური სიმპტომის ჩამოყალიბებაში (Hurwitz, 2003). მკვლევარების სხვა ჯგუფმა კონვერსიული დამბლის მქონე პაციენტებში ივარაუდა ნებითი აქტის დათრგუნვა მისი გენერაციის დონეზე (volition). პმტ-ის მეშვეობით ჩატარებულ კვლევაში პაციენტებში მარცხენა ხელის ისტერიული დამბლით ნორმალური და ხელოვნურად გამოწვეული დამბლის მქონე სუბიექტებთან შედარებით იქნა ნანახი მარცხენა დორსოლატერალური პრეფრონტალური ქერქის ჰიპოფუნქცია, რომელიც მონაწილეობს მოქმედების აქტის მომზადებაში (Spence et al., 2000). შემდგომმა კვლევებმა ასევე დაადასტურეს, რომ კონვერსიული დამბლისა და ხელოვნურად გამოწვეული (intentionally simulated) დამბლის მოდელების ნეირონალური მექანიზმები განსხვავებულია (Ward et al., 2003). ამ შემთხვევაში სიმულირებული პარეზის დროს გამოვლინდა მარცხენა ვენტროლატერალური პრეფრონტალური ქერქის აქტივაცია კონვერსიულ დამბლასთან შედარებით, რაც ერთგვარად ეხმიანება წინა კვლევის შედეგებს.

სავარაუდოა, რომ აქტიური დათრგუნვის (ან ტვინის უბნების შედარებითი აქტივაციის ცვალებადობის) ინტენსიობა განსაზღვრავს მონოსიმპტომატურ ან პოლისიმპტომატურ სომატოფორმული სინდრომის ჩამოყალიბებას. უდავოა, რომ ამ პროცესში გარკვეული როლი უნდა ითამაშონ ნეიროტრანსმიტერულმა სისტემებმა. პაციენტებში სომატიზირებული აშლილობით დეპრესიასთან და კონტროლთან შედარებით სეროტონერგული ამინომჟავების კონცენტრაციის შემცირება სისხლში მიუთითებს ამ სისტემის დეფიციტზე (Rief et al., 2004). რადგან ცნობილია, რომ სეროტონერგული სისტემის (5-HT) აქტივობა არის გენეტიკური

კონტროლის ქვეშ, რითაც განაპირობებს მისი რეცეფტორების, სინთეზური ენზიმებისა და მიტაცების ადგილმდებარეობების აქტივობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ *გენეტიკური ფაქტორი* (ნეიროქიმიკზე ზემოქმედების მეშვეობით) მონაწილეობს ფუნქციური სომატური სიმპტომის გენერაციის მექანიზმში (იმის მსგავსად, როგორც გამოვლენილია ასეთი გენეტიკური კავშირი მოსახლურე პერსონოლოგიური დარღვევის ნიშნებთან – New et al., 2001).



სურათი №2. ფუნქციური სომატური სიმპტომის ეტიოლოგიის ჰიპოთეზური ახსნა.

თუმცა გენეტიკური ფაქტორის გავლენა შესაძლებელია ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ნეიროქიმიკის დონეზე, არამედ იგი უშუალოდ ახდენდეს გავლენას ანატომიაზე. *სტრესი*, როგორც გამშვები მექანიზმი ზემოქმედებს გენეტიკაზეც, უშუალოდ ორგანიზმის *ფიზიოლოგიურ ფუნქციებზეც* და ინდივიდის *კოგნიტიურ სფეროზეც*. როგორც სომატური შეგრძნებების და ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესების, ასევე ‘ავადმყოფის როლის’ აღქმა ხორციელდება პაციენტის კოგნიტიური სფეროს მეშვეობით (Mechanic, 1962; Rief et al., 1998; Mai, 2004). იგი იმავე დროს ჩართულია ‘განსწავლის პროცესში’, როდესაც ინდივიდს

საშუალება აქვს გარშემომყოფებისაგან შეისწავლოს დაავადების მოდელი, ან გააჩნია ქრონიკული დაავადების პირადი გამოცდილება. კოგნიტიურ აღქმაზე ასევე დიდ გავლენას ახდენს ინდივიდის პერსონოლოგიური თვისებები და ემოციური განწყობა. ერთიანობაში ჩვენს მიერ წარმოდგენილი ფუნქციური სომატური სიმპტომის წარმოქმნის მოდელი გამოიყურება შემდეგნაირად (სურათი №2).

## 6. სომატოფორმული აშლილობების მენეჯმენტი

სომატოფორმული აშლილობების თანამედროვე თერაპიის არსებული ხერხების უმეტესობა ტესტირებულია მხოლოდ ემპირიულად და მიმართულია: ავადმყოფის დისტრესისა და მრავლობით სომატურ ჩივილებთან დაკავშირებული ფუნქციონირების შეზღუდვის *შემცირებისაკენ*; არაფრის მომტანი დიაგნოსტიკური და თერაპიული პროცედურების და მედიკამენტების *არიდებისაკენ*; და ისეთი პოტენციური გართულებებისაგან *დაცვისაკენ*, როგორცაა ქრონიკული ინვალიდიზაცია და მედიკამენტოზური დამოკიდებულება.

ნევროლოგის პოზიციიდან მეტ ყურადღებას იბყრობს კონვერსიული აშლილობა. მისი მკურნალობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სრულად ვართ დარწმუნებული ნევროლოგიური დაავადების არარსებობაში, რაც გულისხმობს, რომ ყველა საჭირო ნეიროდიაგნოსტიკური გამოკვლევები (პაროქსიზმების არსებობისას კი ვიდეო ან კასეტური ეეგ-მონიტორინგი) უკვე ჩატარებულია. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს დასკვნების მიწოდება პაციენტისადმი და შემდგომი გამოკვლევების აცილება. ეს ძნელი და დროის მომცველი ეტაპია, რადგან იგი გულისხმობს ყველანაირი კონფრონტაციის არიდებას. პირველ რიგში უკანასკნელია მოსალოდნელი, იმიტომ რომ პაციენტი გამოკვლევების შედეგად მიღებული ნეგატიური პასუხების მიუხედავად, ჩივილების მდგრადობის საფუძველზე, შეიძლება მოითხოვდეს ხელმეორე გამოკვლევებს. მეორე მხრივ, მისი ჩივილების გამომწვევ მიზეზად სტრესით განპირობებული სომატიზაციის არსებობის გამხელა მოუმზადებელ პაციენტში იწვევს უნდობლობას, ეჭვს ექიმის კომპეტენციაში და შეიძლება დასრულდეს კლინიკის თვითნებური მიტოვებითაც. ამიტომაც მენეჯმენტის პროცესში უნდა იყოს ჩართული გამოცდილ ექიმთა გუნდი, რომელიც თავდაპირველად ყურადღებას გადაიტანს ავადმყოფობის სოციალურ და ფსიქოლოგიურ შედეგებზე, რაც გააადვილებს *პაციენტთან მჭიდრო და ნდობით აღჭურვილ ურთიერთობის დამყარებას*. მხოლოდ ამის შემდეგ რეკომენდირებულია კონსერვატიული მეთოდი, როგორცაა *გადარწმუნება*. პროცესის არსი გულისხმობს პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას, რომ სიმპტომების ჩამოყალიბება არის არა ორგანული პათოლოგიის, არამედ ფსიქოლოგიური კონფლიქტის შედეგი. მას წინ უნდა უსწრებდეს ან ახლდეს გარკვეული *სამედიცინო განათლება*. მაგრამ გადარწმუნებისას ყურადღება ექცევა დაავადების ორივე, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტს და ხაზი ესმევა იმ გარემოებას, რომ ეს ჭეშმარიტად სამედიცინო პრობლემაა,

რითაც კიდევაც მოხდება მისი ლეგალიზაცია. პაციენტი უნდა იყოს ჩართული ამ რეაბილიტაციის პროცესში ისე, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეილახოს. ხელი უნდა შეეუწყოს პაციენტის ბოლოდროინდელი ცხოვრებისეული მოვლენების განხილვას (ვერბალიზაციას) ყველანაირი მიზეზშედგობრივი ურთიერთობაზე ყურადღების გამახვილების გარეშე.

მწვავედ განვითარებული კონვერსიული სინდრომის დროს სტაციონარში მყოფი პაციენტისთვის მკურნალობის პროცესის დასაჩქარებლად მართებულია *რელაქსაციისა* და *შთაგონების* (სუგესტიის) გამოყენება. ჩვენი გამოცდილებით შთაგონებითი თერაპია მეტად ეფექტურია *ფიზიოთერაპიის* პროცედურებთან ერთობლიობაში. მოტორული ან/და სენსორული დეფიციტის პირობებში ელექტროსტიმულაციური ფიზიოთერაპიული სეანსი სუგესტიურ თერაპიასთან ერთად, წარმოებული ექიმის მხრიდან, აღწევს დეფიციტის მეტად სწრაფ და შედეგიან აღდგენას. ზოგჯერ (პაციენტთა ამ ჯგუფის 85%-ში) საჭიროა მხოლოდ რამდენიმე (ორი ან სამი) სეანსი მყარი კონვერსიული სიმპტომის ნიველირებისათვის. როგორც ჩვენმა კვლევამ გამოავლინა, რამდენად მეტად გამოხატულია ფუნქციური ნევროლოგიური დეფიციტი (სიბრმავე, აფონია და ა.შ.), იმდენად მეტ შედეგს უნდა ველოდეთ ფიზიოთერაპიული ღონისძიებებიდან.

პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს კონვერსიული სიმპტომის გამომწვევი მენტალური დარღვევის გამოვლენა. ამისათვის დასადგენია ან აქტუალური კონფლიქტი ან ტრავმა, ამ უკანასკნელის არასებობის პირობებში კი – ბავშვობაში და ახალგაზრდობაში გადატანილი ტრავმა ან ძალადობის ფაქტი, რაც მეტად აქტუალურია შაშ-ის პირობებში. ეს პროცესი საჭიროებს როგორც ნევროლოგისა, ასევე ფსიქიატრის და ფსიქოლოგის ერთობლივ ძალისხმევას.

დასავლურ პუბლიკაციებში გავრცელებულია აზრი, რომ მედიკამენტოზური თერაპიის გამოყენება ობლიგატურია მხოლოდ მაშინ, თუკი გამოვლენილია თანაარსებული მენტალური დარღვევა, როგორცაა დეპრესია ან შფოთვისითი აშლილობა (Hurwitz, 2003; LaFrance & Devinsky, 2004). მაგრამ ჩვენი შედეგები უჩვენებენ, რომ ფარმაკოთერაპია წარმოადგენს კონვერსიული სიმპტომების მკურნალობის აუცილებელ ასპექტს. ზემოთ მოყვანილი თერაპიული არსენალის გამოყენება მედიკამენტებისაგან იზოლირებულად იწვევს გარკვეულ უნდობლობას და დაბნეულობას, როგორც ავადმყოფებში, ასევე მის გარემოცვაში. ეს ართულებს პაციენტის მკურნალობის პროცესს და ხშირად შეყავს იგი ჩიხში. წამლები მიზანშეწონილია მაშინაც კი, როდესაც კონვერსიული აშლილობა განვითარებულია მწვავედ, ან მოიცავს დისოციაციურ ელემენტებს (ტრანსი, სტუპორი, აბსანსის მაგვარი შეტევები). ასეთ შემთხვევაში ჩვენს მიერ რეკომენდირებულია მედიკამენტების შეყვანის პარენტერალური ფორმა: ამპულირებული კლომიპრამინი ან მელიპრამინი (25 მგ დღეში) და სულპირიდი (100მგ დღეში) ინტრამუსკულარულად. მსგავსი ღონისძიება იმავდროულად ეხმარება მკურნალს თერაპიული ალიანსის დამყარებაში პაციენტის ახლობლებთან, პრიმიტიული ფსიქოლოგიის მქონე ინდივიდებთან, ან მათთან ვისთანაც პირდაპირი კონტაქტი გაძნელებულია (ენის უცოდინრობის გამო).

ქრონიკულად მიმდინარე კონვერსიული აშლილობის დროს გამართლებულია ყველა ზემოაღნიშნული ნაბიჯი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მიზანშეწონილია ფაქტორთა სამი ჯგუფის გამოვლენა: ისინი, რომლებიც განაწყოვენ, იწვევენ და ახანგრძლივებენ დარღვევას. სტრესორის ან კონფლიქტის გამოვლენას შესაძლებელია დასჭირდეს ხანგრძლივი დრო. ასევე გარკვეული ძალისხმევა ესაჭიროება მასკირებული დეპრესიისა ან შფოთვის გამოაშკარავებას. ამ მიზნისათვის პაციენტს შეიძლება დასჭირდეს ხანგრძლივი სტაციონირება. შეტევების ხანგრძლივი ისტორიის პირობებში, მოსალოდნელია წინათ გამოტანილი ეპილევსიის დიაგნოზის უარყოფა და ანტიეპილევსიური თერაპიის (აეთ) შეწყვეტა. კერძოდ, 1997-1998 წლებში ეპილევსიურ ცენტრში დიაგნოსტირებული აშ-ების კოჰორტიდან მომართვიანობის მიზეზი 20%-ში ( $n=7$ ) იყო ანტიეპილევსიური თერაპიის უშედეგობა პაციენტებში მანამდე გამოტანილი რეზისტენტული ეპილევსიის დიაგნოზით. შესაბამისად გაწერისას ამ კოჰორტის მესამედში იყო მოხსნილი ეპილევსიის დიაგნოზი. ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ პაციენტთა საკმაოდ ნაწილი (35-47%), რომელსაც არ გააჩნია თანაარსებული ეპილევსიის მონაცემები, შაშ-ის დიაგნოზის გამოტანის შემდეგაც იღებს ანტიეპილევსიურ პრეპარატებს (Krumholz and Niedermeyer, 1983; Walczak et al., 1995; Ettinger et al., 1999; Reuber et al., 2003). ამიტომაც აეთ-ის მოხსნა აუცილებელი, თუმცა ფაქიზი და ხანგრძლივი პროცესია. იგი არ უნდა მოხდეს ერთბაშად, არამედ ფაშ-ის უშუალო მიზეზის ფსიქოფარმაკოლოგიური და/ან ფსიქოთერაპიული მკურნალობასთან პარალელურად. პაციენტთა ამ ჯგუფისათვის, ისევე როგორც კონვერსიული აშლილობის ნებისმიერი ფორმის დროს, რეკომენდირებულია *ფსიქოთერაპია*. დასავლურ პრესაში არ არსებობს ერთიანი აზრი იმაზე, თუ რომელი მეთოდი არის უპირატესი, რაც შაშ-თან მიმართებაში, გარკვეულ წილად, გამოწვეულია კონტროლირებადი რანდომიზირებული კვლევების არარსებობით (Bowman, 1999; La France & Devinsky, 2002; 2004; Lesser, 2003). საგულისხმოა ერთი, რომ ფსიქოლოგიური თერაპია (ქცევითი, ოჯახური ან ინდივიდუალურად ორიენტირებული) მიმართულია, რათა გამოაშკარავდეს სტრესორი და ფსიქოლოგიური ტრავმა, გამოფლინდეს ის ხელშემშლელი წინააღმდეგობები და ფაქტორები, რომლებიც თრგუნავენ ემოციების გამოვლენას და შესაბამისად გაადვილდეს პაციენტის ემოციების გამოხატვა ვერბალურად და არა ფიზიკურად. როგორც წესი, არც ერთი მეთოდი ჩვენს მიერ არ იყო გამოყენებული სრულად იზოლირებულად, პირიქით უპირატესობა ეძლეოდა შერეულ თერაპიულ ფორმებს აქცენტით რომელიმე ერთზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევიდან გამომდინარე. ჩვენი გამოცდილება სრულად ესადაგება დასავლური ავტორების რეკომენდაციებს რომელთა უმრავლესობა გვთავაზობს *კომპლექსურ* თერაპიულ მიდგომებს, სადაც რამდენიმე ზემოაღნიშნული მეთოდი გამოიყენება კომბინაციაში (Ramani, 1993; Devinsky, 1998; Reuber & Elger, 2003). ქვემოთ მოყვანილია თერაპიული ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც გამოიყენებოდა სომატოფორმული აშლილობების მქონე პაციენტების მენეჯმენტში ნევროლოგიურ კლინიკაში.

**სომატოფორმული აშლილობების (მათ შორის შაშ-ის)  
კომპლექსური თერაპიის საბაზისო ელემენტები**

- 
1. ნევროლოგიური გამოკვლევა – დიაგნოსტიკის მეტწილად ნეგატიური მეთოდი
  2. მენტალური სტატუსის შეფასება – დიაგნოსტიკის პოზიტიური მეთოდი
  3. პაციენტთან და მის გარემოსთან ნდობით აღჭურვილი ურთიერთობის დამყარება
  4. პაციენტისადმი დიაგნოზის მიწოდება სწორ მანერაში, რათა მან ნაკლებად მტკივნეულად აითვისოს იგი
  - 5.1 ფსიქოთერაპია
    - ა. ეტიოლოგიის და შეტევების გენერაციის შესაძლო ფსიქოლოგიური მექანიზმების განხილვა და დისკუსია (განათლება)
    - ბ. ყურადღების გადატანა ფიზიკური პრობლემებიდან ფსიქოლოგიური კონფლიქტისა და დისტრესის არსებობაზე სათანადო ახსნა-განმარტების საფუძველზე (გადარწმუნება)
    - გ. კომპლექსური ფსიქოთერაპია (კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე)
  - 5.2 ფარმაკოთერაპია
    - ა. აეთ-ის თანდათანობითი მოხსნა (თუკი მონაცენები არ მეტყველებენ თანაარსებულ ეპილეფსიაზე)
    - ბ. ანტიდეპრესანტებისა და ატიპური ნეიროლეფტიკების კომბინაციის ტიტრაცია (პარენტერალური ფორმების გამოყენება მწვავე შემთხვევაში და ენტერალური – ქრონიკული მიმდინარეობის დროს)
- 

სომატიზაციის ქრონიზაციის ტენდენციიდან გამომდინარე, მკურნალობის აღნიშნული ეტაპების შესრულებისას, თერაპიულ გუნდს უნდა ახსოვდეს, რომ ფუნქციური ნევროლოგიური სიმპტომების ერთი ეპიზოდის დროული განკურნება კიდევ არ ნიშნავს აშლილობის სრულ განკურნებას. ამიტომაც, თუკი პაციენტი არის შაშ-ით, მითუმეტეს საჭიროა თერაპიული და განმანათლებელი საუბრების დროს ყველანაირი აქცენტის გარეშე მინიშნება იმის შესახებ, რომ მოსალოდნელია შეტევის ან სხვა ნევროლოგიური დეფიციტის ხელმეორედ გამეორება. ამით ჩაეყრება საფუძველი ამ თერაპიული გუნდისა და პაციენტის მხრიდან ხანგრძლივი ურთიერთობის პერსპექტივას (და მრავალი სხვა მკურნალებთან სიარულის მტკივნეული პროცესის არიდება), რაც სამედიცინო მენეჯმენტის სტაბილურობისა და ეფექტურობის საწინდარია.



## დასკვნები

1. სომატოფორმული დიაგნოზების სიხშირე (ICD-10-ს კრიტერიუმებით) არ აღემატება 3.69% ყველა იმ დიაგნოზის რიცხვიდან, რომელიც იყო გამოტანილი 2 წლის მანძილზე კლინიკური ნევროლოგიის განყოფილებაში. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად ნაკლებია ბოლოდროინდელ გამოქვეყნებულ შედეგებზე (20.5-25% – Ekstrand et al., 2004; Fink et al., 2005), რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით. თუკი ზემოაღნიშნულ კვლევებზე გავავრცელებთ ჩართვის მკაცრ კრიტერიუმებს, რომელიც ჩვენს კვლევაში არის გამოყენებული, პრევალენსის მაჩვენებელი დაიკლებს 10%-დე. უკვე ამ მაჩვენებლის განსხვავება ჩვენს მიერ მიღებულ სიხშირეზე აიხსნება კვლევების მეთოდოლოგიური განსხვავებით (კლინიკური შეფასება ნახევრადსტრუქტურული ინტერვიუს ჩათვლით ჩვენს შემთხვევაში და სკრინინგი სპეციალიზირებული დიაგნოსტიკური ინტერვიუთი დასავლურ კვლევებში) და შესაძლოა პოპულაციის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით, რაც განაპირობებს სპეციალიზირებული კლინიკაში მიმართვიანობის სურათს. კონვერსიული აშლილობა, როგორც მოსალოდნელი იყო, სჭარბობდა ამ კონტინგენტში (69.6%), რაც სრულად ესადაგება დასავლურ მონაცემებს (66.7% – Thomassen et al., 2003).
2. ნევროლოგიურ კლინიკაში მოთავსებულ პაციენტებს შორის აუხსნელი სომატური სიმპტომები უმეტეს წილად წარდგება *თავის ტკივილის, გულისცემისა და შეტევების* (პაროქსიზმების) სახით. ფუნქციური სიმპტომების ასეთი სპექტრი და მათ შორის პაროქსიზმული მდგომარეობების მაღალი სიხშირე სავარაუდოდ განპირობებულია პოპულაციის ეთნო-კულტურული თავისებურებებით, კერძოდ, სხეულისა და ჯანმრთელობის აღქმის ფსიქობიოლოგიური ფაქტორებით. დიაგნოსტიკურ ჭრილში კი დისოციაციური (კონვერსიული) აშლილობა საგრძნობლად აღემატება სომატიზირებულ აშლილობას (80-85% vs. 15-20%). მოყვანილი მონაცემები კორელირებს დასავლურ პუბლიკაციებში გამოქვეყნებულ მაჩვენებლებთან.
3. ნევროლოგიური ჩვილების შესატყვისი ორგანული დაზიანების არგამოვლენის (ანუ სომატიზაციის) პირობებში, მაღალია ამ სიმპტომების გამომწვევი მენტალური დარღვევის არსებობის შანსი (77%). ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამგვარი პაციენტის მიმართ გამოკვლევების განმეორებისა და გახანგრძლივების, ან თუნდაც, შეწყვეტისა და გაწერის ნაცვლად ჩატარდეს დეტალური ნეიროფსიქიატრიული გამოკვლევა მენტალური დარღვევის გამოვლენის მიზნით. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს დიაგნოსტიკური პროცესისათვის განკუთვნილ დროის და ხარჯების შემცირებას და დააჩქარებს პაციენტის ჩართვას მისთვის შესაბამის თერაპიულ პროცესში.
4. კონვერსიული (ფუნქციური) ნევროლოგიური სიმპტომების დიაგნოზი არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ნევროლოგიური გამოკვლევების ნეგატიურ პასუხებს. იგი ასევე უნდა შეიცავდეს პოზიტიური დიაგნოსტიკის ელემენტებს, კერძოდ, გარკვეული ტესტების გამოყენებას

- მოტორული და სენსორული დეფიციტის დროს და მენტალური სტატუსისა და ფსიქოსოციალური პრემორბიდის დეტალურ შესწავლას, განსაკუთრებით შეტევების არაეპილეფსიურ ბუნებაზე ეჭვის დროს. ეს მიიღწევა მხოლოდ ნევროლოგიური, ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული სამედიცინო რგოლების ერთობლივი (მულტიდისციპლინური) მუშაობით.
5. პაროქსიზმული დარღვევის ბუნების დასადგენად და მოსალოდნელი დიაგნოსტიკური შეცდომების ასაცილებლად განმეორებითი პაროქსიზმების გენეზი არ უნდა ჩაითვალოს აპრიორი ეპილეფსიურად. ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის თანაბრად უნდა განიხილებოდეს ასევე ენდოკრინული, კარდიოლოგიური და ფსიქიკური პათოლოგია. უკანასკნელის გამოვლენის შემთხვევაში დიაგნოსტიკური პროცესი არ უნდა დასრულდეს, არამედ გაგრძელდეს კონკრეტული მენტალური დარღვევის გამოვლენით, რომელიც ვლინდება შაშ-ით. ამ ამოცანის დასაძლევად ჩვენს მიერ არის წარმოდგენილი სრულყოფილი დიაგნოსტიკური ალგორითმი, რომლის პოზიტიური დიაგნოსტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს მენტალური სტატუსის შეფასება.
  6. ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევები თავისი კლინიკური გამოვლინებებით შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: დემონსტრაციული, აფორიაქებული, დიდი გულყრისა და გულისწასვლის მსგავსი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სქესი შეიძლება იყოს დაკავშირებული შაშ-ის სემიოლოგიასთან. კერძოდ, დიდი გულყრისა და გულისწასვლის მსგავსი შეტევა უფრო ხშირია ქალებში, მაშინ როდესაც დემონსტრაციული შეტევები კი – მამაკაცებში.
  7. ფსიქოგენური არაეპილეფსიური შეტევების ეტიოლოგიურ მიზეზებს შორის აღსანიშნავია ქალის სოციალური და ოჯახური დისკრიმინაცია, რაც რიგ შემთხვევებში წარმოადგენს კულტურალურ ფაქტორებსა (ტრადიციებს) და პერსონის არაცნობიერ მოთხოვნილებებს შორის კონფლიქტის უკიდურეს გამოვლენას. სხვა მოდელებს შორის ნიშანდობლივია განსწავლული ქცევის პატერნი, რასაც ინდივიდი საბოლოოდ მიყავს ავადმყოფის როლის მითვისებამდე. ჩვენს საზოგადოებაში იშვიათი (და აქედან გამომდინარე ნაკლებად მნიშვნელოვანი როგორც ეტიოლოგიური ფაქტორი) აღმოჩნდა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ისტორია, რაც კიდევაც მოსალოდნელი იყო. მაგრამ ცხოვრების ესთეტიური და სოციალური სტანდარტების სწრაფი ცვლისა და არევის პირობებში სავარაუდოა უკანასკნელი ფაქტორის როლის წამოწევა.
  8. შაშ-ის გამოვლენილი კლინიკური ფორმები არ არის სრულყოფილად ასახული მენტალური და ქცევითი დარღვევების თანამედროვე ტაქსონომიებში. მაშინ, როდესაც მოტორული ფორმები იოლად ეტევიან კონვერსიული(დისოციაციური) კრუნჩხვების დიაგნოსტიკურ ერთეულში (F44.5 – ICD-10; 300.11–DSM-IV), არამოტორული ფორმებისათვის არ მოიძებნება მათთვის შესატყვისი დიაგნოსტიკური კატეგორია, რის გამოც ისინი მოიაზრებიან ან არასპეციფიურ დისოციაციურ ან კიდევაც პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობის ქვეშ. აღნიშნული

სიტუაცია სავარაუდოდ განპირობებულია კლასიფიკატორთა ჯგუფში ნევროლოგების (ეპილეფტოლოგების) არმონაწილეობის გამო, რაც სასურველია, რომ მომავალში DSM-V მზადების პროცესში მხედველობაში იყოს მიღებული.

9. სომატოფორმული აშლილობების (მრავალფეროვანი ნევროლოგიური გამოვლინებებითა და მათ შორის შაშ-ით) მენეჯმენტი მრავალწახნაგოვანი და რთულია. არც თუ ისე მარტივ დიაგნოსტიკურ პროცესთან ერთად იგი მოიცავს ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან ერთად მკურნალობის ფსიქოლოგიურ და ფსიქიატრიულ მიდგომებს. მენეჯმენტის შედეგიანობა მიიღწევა როგორც პაციენტთან მომუშავე სამედიცინო გუნდის მუდმივობით, ასევე მასში ფსიქოლოგებისა, ფსიქიატრების (ნეიროფსიქიატრების) და ფიზიოთერაპევტების აუცილებელი ჩართვით. აღნიშნული მეტყველებს ფუნქციური ნევროლოგიური სინდრომების პოლიეტიოლოგიური ჰიპოთეზის სასარგებლოდ.

## **პრაქტიკული რეკომენდაციები**

ბოლოდროინდელი ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე სომატო-ფორმული აშლილობების გლობალური ტვირთი აღემატება სხვა ქრონიკული დაავადებების ან ზოგადთერაპიული პაციენტის ტვირთს. საქართველოს საერთო ეკონომიურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სომატიზაციის მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხი არ უნდა აღემატებოდეს იმას, რაც განვითარებულ ქვეყნებშია დადგენილი. ამ საერთო სურათის შესაცვლელად მიზანშეწონილია კომპლექსური სახელმწიფოებრივი მიდგომა, რაც გულისხმობს:

- პირველ რიგში სწორი და თანამედროვე *განათლების უზრუნველყოფას* საუნივერსიტეტო სწავლების პროგრამის ფარგლებში. ფსიქოლოგიური კურსის აუცილებელი შეტანა გავლენას მოახდენს მომავალი მკურნალის სწორი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში.
- რადგან აუხსნელი სომატური სიმპტომები გვხვდება სამედიცინო ქსელის ნებისმიერ რგოლში და სპეციალობაში, საჭიროა ექიმების ფართო *ჩართვა ტრეინინგებსა და ლექცია-სემინარებში*, სადაც იქნება მიწოდებული ფუნქციური სომატური სინდრომების ირგვლივ უახლესი ინფორმაცია და დიაგნოსტიკური სქემები. მიღებული ცოდნა იქნება საწინდარი სომატიზაციის დროული და სწორი გამოვლენისა, როგორც ჯანდაცვის პირველად რგოლში ასევე სპეციალიზირებულ კლინიკებში.
- ერთიანი საკოორდინაციო ცენტრის *შექმნას*, რომელსაც დაევალება როგორც ადეკვატური ცოდნის გავრცელების კომპანიის წარმოება, ასევე კლინიკო-ეპიდემიოლოგიური საკითხების მონიტორინგი, რომელიც ფოკუსირებული უნდა იყოს დიაგნოსტიკური ვადების ოპტიმიზაციაზე და დიაგნოსტიკური საშუალებების თადარიგიან გამოყენებაზე, რაც სომატიზაციით გამოწვეული გლობალური ტვირთის შემცირების წინაპირობა გახდება.

## დიხერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია:

1. Гигинейшвили Д.А., Посохов С.И., Дюкова Г.М. Ночной сон у больных истерией с латерализованными дефектами. В сб.: Нарушения высшей нервной деятельности. Их патогенез и нейропептидная коррекция. Наука, Москва, 1992, стр.94-101.
2. Гигинейшвили Д.А., Геладзе Т.Ш., Шакаришвили Р.Р. Семья и эпилепсия. Журнал Неврологии и Психиатрии им. С.С.Корсакова, 1998, том 98, №4, стр.57-61.
3. Gigineishvili D. Importance of the Mental Status Assessment Chart in Revealing Psychiatric Disturbances. *Epilepsia* 1998; 39, suppl.2: 100.
4. Gigineishvili D. Does an Epileptologist Need a Psychiatric Assessment List? *Epilepsia* 1998; 39, suppl.2: 100.
5. Gigineishvili D. About Caution of Interpretation of the Electrographic Changes in Person with Paroxysmal Events. *Epilepsia* 1999; 40: suppl.2:7.
6. Gigineishvili D. Psychogenic non-epileptic seizures: can we make a positive diagnosis? *Seizure*, 1999; 8(8): 485-489.
7. დ.გიგინეიშვილი. ფსიქიკური აშლილობანი სომატური (ფსევდონევროლოგიური) სიმპტომებით. ენა და კულტურა, თბილისი, 2001, 35 გვ.
8. დ.გიგინეიშვილი. პანიკური აშლილობა. Nobene, თბილისი, 2003, 54 გვ.
9. დ.გიგინეიშვილი. სომატოფორმული აშლილობები ნევროლოგიურ კლინიკაში. მერიდიანი, თბილისი 2005, 316 გვ.
10. Gigineishvili D. Disorders presenting with pseudoneurological symptoms in current psychiatric classifications. *Proc. Georgian Acad.Sci., Biol.Ser-A* 2005; 31(3):323-327.
11. Gigineishvili D. Somatoform Disorders Concept: from Classification to Biopsychosocial Model. *Annals of Biomedical research and education* 2005; 5(3):180-183.
12. Gigineishvili D. Clinical semiology of psychogenic nonepileptic seizures. *Annals of Biomedical research and education* 2005; 5(4):277-280.
13. დ.გიგინეიშვილი, რ.შაქარიშვილი. ფუნქციური სომატური სინდრომები თუ მასკირებული სომატოფორმული აშლილობა? რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის მაცნე 2006; 24(1):26-29.
14. Гигинейшвили Д.А., Шакаришвили Р.Р. От психологических теорий к нейробиоло-гической модели истерии: системный анализ результатов функциональных нейро-визуализационных исследований. *Georgian Journal of Radiology* 2006; 24(1):61-64.
15. Гигинейшвили Д.А., Шакаришвили Р.Р. Нейропсихиатрические аспекты диагностики психогенных поведенческих состояний. *Georgian Medical News* 2006; 131(2):52-55.
16. Гигинейшвили Д.А., Шакаришвили Р.Р. Необъяснимые соматические симптомы и связанная с ними психопатология в неврологической клинике. *Georgian Medical News* 2006; 132(3):50-53.

## ОБЩАЯ ХАРАКТЕРИСТИКА РАБОТЫ

### Актуальность темы

В основе недавно провозглашённой концепции соматоформных расстройств (с 1980 года в Северной Америке посредством DSM-III и с 1992 года в остальных частях мира с помощью кардинальных изменений, вошедших в МКБ-10) лежит представление об истерии. Состояние, которое характеризуется множественными и повторными соматическими жалобами, предъявляемые с большим драматизмом, которые однако не объясняются известными медицинскими заболеваниями, находится в фокусе внимания врачей уже с античных времён. Описанное в египетских папирусах и позднее названное истерией в древней Греции, отмеченное медицинское состояние изначально отождествлялось исключительно с женским полом. Интерес к этой проблематике возрос со второй половины XIX века, когда французскими врачами (Брике, Шарко) на основе детального клинического анализа была высказана идея дисфункции головного мозга как основы формирования истерических симптомов. Позднее Фрейд выдвинул психодинамическую теорию формирования истерического невроза. Глубокий интерес врачей к проблеме истерии обусловлен его универсальным свойством мимикрии, когда она маскируется практически под любую форму органической патологии и соответственно может предстать в любой дисциплине медицины. Этим обусловлено существование параллельных классификаций, одна из которых используется врачами общего профиля (функциональные соматические синдромы), а другая распространена в психиатрии (соматоформные расстройства). Из-за своего пограничного положения между психиатрией и остальной медициной, большинство вопросов, как диагностики так и терапии, не изучено досконально (Frances & Vance 1999). Согласно разнообразным источникам, частота психогенных симптомов в неврологической сети выше по сравнению с аналогичными показателями в других общетерапевтических службах (Carson et al., 2000; Reid et al., 2001). В неврологической клинике она составляет 1% от общего числа выставленных диагнозов (Marsden, 1986), в эпилептических центрах – 12.8-20% количества поступивших пациентов (Gates et al., 1985; Smith et al., 1999), а среди пациентов прошедших электроэнцефалографическое (ЭЭГ) мониторинговое – 15-34% (Benbadis et al., 2001, 2004; Martin et al., 2003). Они настолько уподобляются органическим неврологическим симптомам, что в случае психогенных неэпилептических припадков выставление окончательного диагноза, согласно различным источникам, происходит не менее чем через пять лет от начала проявления пароксизмов (De Timary et al., 2002; Reuber et al., 2002). Отсрочка диагноза же становится причиной ухудшения как здоровья, так и социо-экономического состояния больного. Необъяснимые (функциональные) соматические симптомы встречаются не только в неврологической практике, но также и в других сетях специализированных учреждений непсихиатрического профиля и, в первую очередь, в первичном звене медицинской помощи. Количество больных с подобными жалобами составляет от четвертой части до половины от общего количества тех пациентов, которые обращаются к врачам общего профиля (Kroenke, 2003; Khan et al., 2003; Rosendal et al., 2005; Toft et al., 2005). Отмеченная проблема имеет не только диагностическое значение. Тяжела

социальная и экономическая ноша, которая сопровождает расстройства психогенной природы. Пациенты отличаются высокой степенью нетрудоспособности (Akagi & House, 2001) и их медицинские затраты в 2.2 раза превышают средние показатели затрат на одного пациента в медицинской сети (Hiller et al., 2003).

В медицинской литературе по сей день нет единого мнения по поводу клинических форм психогенных неэпилептических припадков, чему также способствует малое количество научных работ, посвящённых этой проблеме (Betts & Boden 1991; Jędrzejczak et al., 1999; Gröppel et al., 2000; Abubakr et al., 2003). По мнению некоторых исследователей, на основе только клинической семиологии припадков в 70-80% случаев возможна дифференциация неэпилептических от эпилептических пароксизмов (King et al., 1982; Lesser 1985). Семиология припадков может представлять значительный диагностический фактор для выявления природы припадков. Не изучено также, насколько клиническая картина припадков связана с типом психического расстройства. Исходя из вышесказанного, нам представляется неотложной задачей детальное изучение клинической семиологии неэпилептических припадков и выявление его корреляций с отдельными формами ментальных расстройств.

Главным диагностическим алгоритмом психогенных соматических симптомов является исключение соматического заболевания (так называемый диагноз исключения – Porter 1993, Francis & Baker 1999; Reuber et al., 2005). Нет единого мнения в отношении позитивных диагностических тестов и каждый автор в лучшем случае упоминает лишь некоторые из них. Следовательно, весьма актуальным является выявление и оценка существующих позитивных диагностических тестов для функциональных неврологических симптомов, которые должны помочь в дифференциации симптомов, имеющих схожую клиническую картину, однако вызванными различными этиологическими механизмами (психогенными либо органическими).

Арсенал терапевтических возможностей для больных соматоформными расстройствами на сегодняшний день включает как медикаментозные средства, так и психо- и физиотерапевтические методы. Однако плацебо контролируемых, рандомизированных клинических исследований, оценивающих эффективность отдельных психотропных средств или методов психотерапии, не так уж много и мнение исследователей об использовании этого арсенала неоднозначно (Fallon 2004; LaFrance et al., 2006). В последние годы появились работы, результаты которых показывают эффективность различных лечебных мероприятий среди больных ипохондрией (в частности, селективных ингибиторов обратного захвата серотонина и когнитивно-поведенческой психотерапии; Looper & Kirmayer 2002; Kjernisted et al., 2002; Lidbeck 2003; Fallon et al., 2003; Barsky & Ahern 2004). В связи с этим, весьма актуальным является определение эффективности комбинации психофармакологического и психотерапевтического подходов в этом контингенте пациентов.

В классификации ментальных расстройств психогенные неврологические симптомы внесены в перечень диагностических критериев для нескольких психических расстройств. Их большинство группируется под категорией соматоформных расстройств. Однако, в профессиональных кругах не прекращаются дебаты о целесообразности такой группировки (Mayou et al., 2005; Janca 2005).

Поэтому представляет интерес оценить валидность отдельных соматоформных расстройств, которые включают неврологические психогенные симптомы, уже с позиций неврологов.

Соматоформные расстройства представляют собой уникальный пример, когда терминологические и классификационные вопросы являются прерогативой психиатрии (в частности, в таксономии ментальных и поведенческих расстройств), тогда как с клинических и с терапевтических позиций, они наиболее изучены специалистами общетерапевтических дисциплин. Среди расстройств психогенной природы, неэпилептические пароксизмы являются объектом наибольшего интереса в медицинской литературе (Gram et al., 1993; Rowan & Gates 1993; 2000). В неврологических клиниках (и соответственно эпилептологических центрах) аккумулированный материал, по нашему мнению, неизбежно будет способствовать разрешению как теоретических, так и клинических вопросов соматизации. На основе вышесказанного представляется важным участие и включение неврологов (и в частности эпилептологов) в процесс предварительной дискуссии ревизий соматоформного модуля последующих классификаций ментальных расстройств.

### **Цели и задачи работы**

**Целью** настоящего исследования было проведение системного анализа соматоформных расстройств и выявление позитивных клинико-диагностических показателей, которые помогут различить эти расстройства от клинически схожего разнообразия органических заболеваний нервной системы.

Для осуществления отмеченной цели были поставлены следующие **задачи**:

1. определение частоты случаев соматоформных расстройств среди пациентов, госпитализированных в неврологической клинике, и проведение их синдромального анализа;
2. выявление и оценка всех диагностических тестов функциональных неврологических симптомов;
3. построение позитивного диагностического алгоритма психогенных неэпилептических пароксизмов и определение его эффективности в условиях мультидисциплинарного подхода;
4. классификация психогенных неэпилептических пароксизмов на основе клинической семиологии и определение их эквивалентности в диагностических категориях современных таксономий психических расстройств (DSM, ICD);
5. сравнение диагностических категорий, включающих функциональные неврологические симптомы, в современных классификаторных системах (МКБ-10, DSM-IV) и определение их валидности;
6. определение эффективной схемы менеджмента соматоформных расстройств, базирующейся как на традиционных для нас формах лечения так и на новых для нас психотерапевтических методиках.

### **Научная новизна**

Существующая на Западе диагностическая методология психогенных симптомов не является унифицированной. Они в основном рассматриваются

изолированно, что отражает исторический процесс появления этих методологий, предложенных различными исследователями или появившихся как результат узкоотраслевой эволюции в условиях технического прогресса. С этой точки зрения примечателен диагностический алгоритм неэпилептических припадков (НЭП), который, используя традиционные диагностические методы эпилепсии, является диагнозом исключения (утверждением обратного). Мы выработали *позитивный диагностический алгоритм*, исходя из того соображения, что определённые психические нарушения клинически могут манифестироваться пароксизмами, схожими с эпилептическими. Их диагностика будет более полноценной, если мы не только покажем, что у пациента нет эпилепсии (и посему припадки являются неэпилептическими), а также выявим тот психологический дистресс, который является непосредственной причиной ментального расстройства, проявляющегося через психогенные НЭП. Подобный подход можно распространить на все психогенные симптомы. С этой целью была *разработана оценочная шкала ментального статуса* (ОШМС), которую мы использовали на всех тех пациентах, которые с неопределёнными или резистентными припадками были госпитализированы в Институт неврологии и нейрохирургии им. П.М.Сараджишвили (в дальнейшем ИННС). Диагностика отдельных расстройств будет способствовать дальнейшему лечению конверсионного симптома и улучшению картины исхода, который в условиях негативной диагностики в лучшем случае ограничена направлением пациента в психиатрическую клинику, где ему скорей всего не уделяется должное внимание. Для этого нами были тщательно выявлены и изучены те ментальные расстройства, в клинической картине которых возможно появление психогенных НЭП.

Проанализированы *психологические этиологические модели* неэпилептических припадков и роль физического и сексуального насилия в когорте изученных нами пациентов.

На основе такого широкомасштабного изучения соматоформных расстройств выдвинут возможный *патогенетический механизм происхождения функционального соматического симптома*, отражающий генетические, биологические, когнитивные и факторы окружающей среды.

### **Практическая ценность работы**

На основе изучения клинико-электрофизиологических данных и анализа психосоциальных факторов пациентов с психогенными неврологическими симптомами выявлен спектр ментальных расстройств, который по своему клиническому проявлению уподобляется органическим неврологическим заболеваниям.

В условиях сложности дифференциальной диагностики функциональных и органических неврологических синдромов выработана и апробирована совершенно оригинальная нейропсихиатрическая диагностическая методология, которая применяется вкупе с традиционными диагностическими подходами. Отмеченная комплексная диагностика придаёт большую достоверность диагностическому процессу и переводит его в позитивное русло.

На основе изучения культуральных аспектов, психологического и социального анамнеза выделены различные этиологические модели соматоформных расстройств, в которых, в отличие от моделей, предложенных западными



исследователями, доминируют другие факторы. Знание элементов этих психосоциальных моделей и своевременное выявление поможет практическому врачу вести в правильном русле диагностический процесс.

Предложенный нами мультидисциплинарный подход, который подразумевает одновременное включение невролога и психиатра (нейропсихиатра) в процесс менеджмента, поможет содружественному развитию этих областей медицины и повышению наших знаний в различных аспектах психосоматической медицины, без помощи которых трудно оказать полноценную помощь больному с психогенным синдромом.

С использованием позитивного диагностического метода мы ожидаем укорачивание времени отсрочки правильного диагноза (ПНЭП), что окажет благотворное влияние как на прогноз расстройства, так и на экономическую сторону медицинского менеджмента, что безусловно снизит глобальную (социальную и экономическую) ношу, вызванную расстройством.

Теоретические и практические результаты работы используются в учебно-лекционных курсах кафедры неврологии и нейрохирургии Тбилисского государственного университета им. И.Джавахишвили.

### **Апробация работы**

Основные результаты работы были обсуждены на расширенном заседании ученого совета Института неврологии и нейрохирургии им. П.М.Сараджишвили, состоявшемся в здании института 6 февраля 2006 года (г.Тбилиси, Грузия), а также за рубежом, на заседании нейропсихиатрического общества г.Нагойи, 27 сентября 2004 года, под председательством профессора Канемото Коусуке, зав.кафедрой нейропсихиатрии Медицинского университета Аичи, г.Нагакуте, Япония.

Основные положения работы также были изложены на следующих международных конференциях:

22-ом Всемирном конгрессе эпилепсии (г.Дублин, Ирландия, 1997) – два стендовых доклада;

3-ем Европейском конгрессе по эпилептологии (г.Варшава, Польша, 1998) – два доклада на параллельной сессии;

на ежегодной конференции Американской эпилептической ассоциации (г.Сан-Диего, Калифорния, 1998) – стендовый доклад;

23-ем Всемирном конгрессе эпилепсии (г.Прага, Чехия, 1999) – стендовый доклад;

4-ом Европейском конгрессе по эпилептологии (г.Флоренция, Италия, 2000)-стендовый доклад.

### **Объём диссертации и структура**

Диссертация выполнена на грузинском языке, объёмом 144 машинописных страниц. Она иллюстрирована 23 таблицами и 5 рисунками. Список литературы содержит 241 наименований. Работа состоит из 6 глав, включающих множество подглав, выводов и дополнения.

## МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ ИССЛЕДОВАНИЯ

Клиническая часть работы проводилась с 1992 по 2003 год в Институте неврологии и нейрохирургии им. П.М.Сараджишвили (Тбилиси, Грузия). Часть теоретической работы (анализ классификационных и методологических вопросов) также проводилась в разные годы на кафедре эпидемиологии Школы общественного здоровья Университета Джонса Хопкинса (Балтимор, США), нейропсихиатрической кафедре Медицинского университета Аичи (Нагакуте, Япония) и Национальном институте неврологических болезней (Шизуока, Япония). Материалом работы послужили все те больные с достоверными психогенными симптомами, поступившие в ИННС с 1992-2002, которые были под непосредственным наблюдением автора; все больные стационарированные в 1997-98 годах в эпилептическом центре ИННС и выписанные с диагнозом ПНЭП; и все больные 2001-2002 годов, выписанные из ИННС с диагнозом расстройств психогенной природы.

Исходя из задач исследования были применены различные диагностические пакеты, что представлял собой двухступенчатый процесс. Первый этап включал негативную диагностику неврологических симптомов, подразумевающую использование всей батареи исследований, необходимых для подтверждения наличия неврологического заболевания (в том числе и эпилепсии), в результате проведения которого получаем негативный ответ. В батарею входят: неврологическое обследование, сбор анамнестических данных и истории текущего заболевания, инструментальные исследования. Среди последних – ЭЭГ, электромиография, 24-часовое амбулаторное кассетное ЭЭГ мониторинг, компьютерная томография, ядерно-магнитный резонанс и другие.

В случае отсутствия данных на предполагаемый органический процесс в процессе проведения первого этапа диагностики начинался этап выявления психологического расстройства. Для определения ментального расстройства применялось нейропсихиатрическое обследование, которое включало разработанный нами оценочный лист ментального статуса. Последний был создан с целью прицельной диагностики психических расстройств неврологических больных (как сопутствующей, так и являющейся последствием неврологического заболевания). В его основу легла широко применяемая на западе схема исследования ментального статуса, которая была значительно дополнена различными симптомами и поведенческими характеристиками, обладающими диагностической ценностью (на основе анализа научной периодики, диагностических руководств DSM-III-R(1987) и DSM-IV (1994) Американской ассоциации психиатров [ААП] и собственных клинических наблюдений). Основное внимание было уделено персонологическим чертам и поведенческим нарушениям, ассоциированным с болезнями нервной системы.

Оценка пациента в динамике с помощью упомянутой шкалы и вышеотмеченный диагностический алгоритм легли в основу *метода позитивной диагностики* психогенных нарушений (Gigineishvili, 1998; Гигинейшвили Д.А., Шакаришвили Р.Р. 2006).

Диагноз психических расстройств выставлялся на основе диагностических критериев и клинических описаний классификации МКБ-10 ВОЗ (WHO, 1992-1993).

Для осуществления намеченной задачи необходимым стало осуществление

переводов на грузинский язык диагностических критериев с первоисточников, которые в свою очередь были любезно предоставлены для этой цели опубликовавшими их организациями (ААП, ВОЗ). Для создания банка данных различных клинических симптомов ментальных нарушений были проработаны все доступные англоязычные медицинские книги (изданные после 1995), а также тематические статьи с периодических медицинских изданий (с 1980 до 2005 включительно). В процесс были включены стандартные поисковые системы (PubMed etc.) с использованием электронных сетей библиотек Медицинской школы Университета Джонса Хопкинса и Медицинского университета Аичи и в их распоряжении находившихся печатных и электронных книг, а также библиотечной сети ВОЗ – HINARI.

Статистический анализ полученных результатов был осуществлён с помощью специализированной программы по медицинской статистике STATA 7.0 (College Station, TX, USA).

## ПОЛУЧЕННЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ

### 1. Эпидемиология соматоформных расстройств в неврологической клинике

Из общего числа диагнозов, выставленных госпитализированным в 2000-2001 годах больным (n=623) в отделении клинической неврологии ИННС, соматоформные расстройства занимали 3.69%. В окончательный анализ попали только те случаи, где ведущая клиническая картина (жалобы неврологического характера и другие соматические жалобы) была обусловлена исключительно ментальным расстройством и соответственно не была сопутствующим состоянием какой-либо соматической болезни, которая предопределила бы направление больного в наш стационар.

Среди других психических расстройств стоит отметить депрессию (0.64%) и тревожные расстройства (0.64%). Распространённость отдельных диагностических категорий в группе соматоформных расстройств дана в таблице №1.

Демографические показатели больных с выставленными диагнозами соматоформных расстройств даны в таблице №2.

Относительное преобладание диагнозов конверсионных расстройств (69.6%) среди расстройств соматоформной группы (соматизированное расстройство – 13%, соматоформная вегетативная дисфункция – 8.7%, ипохондрическое и недифференцированное – по 4.3% каждое) было предсказуемым, поскольку главным условием для отнесения соматизированных жалоб больного к этой категории является наличие нарушений, подразумевающих расстройство нервной системы. Аналогичные результаты были получены в голландской работе, где доля конверсионных расстройств, диагностированных консультантами психиатрами по классификационным критериям DSM-III-R в неврологических клиниках достигала 66.7%, а в больницах общего профиля – 26.1% (Thomassen et al., 2003). Отмеченные психиатрические состояния объединяет преобладание *необъяснимых соматических симптомов* (НСС) в клинической картине расстройств. Необъяснимыми называются те соматические (в том числе неврологические) симптомы, в отношении которых медицинская оценка не выявляет текущего соматического заболевания или патологических механизмов его развития.

**Распространённость диагнозов соматоформных расстройств  
(согласно МКБ-10) по результатам собственных исследований**

<b>Соматоформное расстройство</b>	<b>2000г (n=298)</b>	<b>2001г (n=325)</b>	<b>всего (n=623)</b>
Соматизированное расстройство	2 (0.67%)	1 (0.31%)	3 (0.48%) (13%)
Конверсионное расстройство (диссоциативное):	9 (3.02%)	7 (2.15%)	16 (2.57%) (69.6%)
с судорогами	7	5	
с другими моторными ступором	1	1	
смешанные	2		
Ипохондрическое	-	1	1 (0.16%) (4.3%)
Недифференцированное соматоформное	-	1	1
Болевое расстройство	-	-	-
Соматоформная вегетативная дисфункция	1 (0.34%)	1	2 (0.32%) (8.7%)
Всего	12	11	23 (3.69%)

Таблица №2

<b>Соматоформное расстройство</b>	<b>N</b>	<b>Соотношение полов (жен/муж)</b>	<b>Средний возраст (диапазон)</b>
Соматизированное расстройство	3	2/1	30 (20-41)
Конверсионное/ диссоциативное расстройство	16	9/7	27.6 (16-47)
Ипохондрическое	1	0/1	32
Недифференцированное соматоформное	1	1/0	15
Соматоформная вегетативная дисфункция	2	2/0	31 (22-40)
Всего	23	14/9	27.8 (15-47)

На сегодняшний день принято, что НСС психологической природы могут быть представлены в клинической картине целого ряда ментальных расстройств (таблица №3).

Согласно психодинамической модели истерии, предложенной в конце XIX века, соматические симптомы могут сформироваться на основе изгнания (репрессии) из сознания и преобразования (конверсии) неприемлемых психологических идей. Подобные симптомы носят название конверсионных (функциональных, соматизированных, псевдоневрологических). Невротическое состояние, которое характеризуется отмеченными симптомами, представляет собой конверсионный тип истерического невроза. Выделяют полисимптоматическую и моносимптоматическую форму конверсионной истерии. Если в первом случае

(*соматизированное расстройство*), согласно диагностическим критериям текущих классификаций (DSM-IV, МКБ-10), конверсионный неврологический симптом может быть представлен наряду с другими жалобами со стороны остальных систем организма, то для второго (*конверсионное расстройство*) – это единственный и облигатный признак. Вместе с ипохондрией и болевым расстройством эти два синдрома формируют ядро группы соматоформных расстройств.

Таблица №3

***Психиатрические расстройства, которые могут быть представлены соматическими симптомами (согласно классификациям МКБ-10 и DSM-IV)***

<b>МКБ-10</b>	<b>DSM-IV</b>
Расстройства настроения (аффективные расстройства) (F30-F39)	Расстройства настроения ( <i>Mood Disorders</i> )
Тревожно-фобические расстройства (F40)	Фобические расстройства ( <i>Anxiety Disorders</i> )
Другие тревожные расстройства (F41)	
Диссоциативные (конверсионные расстройства) (F44)	Соматоформные расстройства ( <i>Somatoform Disorders</i> )
Соматоформные расстройства (F45)	
Другие расстройства зрелой личности и поведения у взрослых (F68)	Искусственно демонстрируемые расстройства ( <i>Factitious Disorders</i> )
Шизофрения, шизотипальные и бредовые расстройства (F20-F29)	Шизофрения и другие психотические расстройства ( <i>Schizophrenia and Other Psychotic Disorders</i> )
Реакция на тяжёлый стресс и нарушения адаптации (F43)	Нарушения адаптации ( <i>Adjustment Disorders</i> )

На основе публикаций последних лет, распространённость НСС в первичном звене медицинской помощи достаточно высока (17.6-20.2%; Hansen et al., 2001; Fink et al., 2004). Также высока частота этих диагнозов в неврологической клинике (20.5-25% Ekstrand et al., 2004; Fink et al., 2005). Хотя по результатам собственных исследований преваленс соматоформных расстройств не превышает 4% от всех диагнозов. Несоответствие полученных результатов обусловлено несколькими причинами. Во-первых, различаются критерии включения больных. В нашей работе количество пациентов с ментальными расстройствами высчитывалось только с количества ведущих диагнозов, то есть включало только те случаи, где соматоформное расстройство было основной причиной поступления в неврологическую клинику. В вышеотмеченных публикациях же выявлялось любое проявление соматизации: как клинически выраженное через неврологические симптомы, также сопутствующее другим соматическим заболеваниям, либо клинически вовсе не значимое. Такое отличие обусловлено различной методологией и целями исследований. В нашей работе акцент был смещён на пациентах с негативной диагностикой, в частности, полуструктурированное интервью с помощью ОШМС использовалось только у тех больных, у которых традиционная клиничко-инструментальная диагностика исключила наличие нервных болезней

